კომუნიკაციების კომისიის წინასაარჩევნო მედიამონიტორინგის ანგარიში

თვისობრივი
(01.10.2020 – 31.10.2020)

კომუნიკაციების
კომისია

კომუნიკაციების კომისიის მიერ ჩატარებული თვისობრივი და რაოდენობრივი მედიამონიტორინგის შედეგები

(01.10.2020 – 31.10.2020)

კომუნიკაციების კომისია 2020 წლის საქართველოს პარლამენტის არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდის მედია მონიტორინგის ანგარიშს აქვეყნებს, რომელიც 2020 წლის 01 ოქტომბრიდან 31 ოქტომბრამდე პერიოდს მოიცავს.

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა 6 საერთო საეთერო ეროვნული მაუწყებლის თვისობრივი და რაოდენობრივი მონიტორინგი. აღნიშნული სამაუწყებლო არხებია: საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი, საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია, რუსთავი 2, ტელეიმედი, ტელეკომპანია პირველი და მთავარი არხი. მონიტორინგი მიმდინარეობდა საუკეთესო დროს, კერძოდ 19:00 საათიდან 24:00 საათამდე პერიოდში.

მედია მონიტორინგის პროცესში კომისიის დაკვირვების საგანს წარმოადგენს:

ა) წინა საარჩევნო რეკლამა;

ბ) წინა საარჩევნო დებატები;

გ) ახალი ამბები და საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემები;

დ) წინა საარჩევნო აგიტაცია;

ე) საზოგადოებრივი აზრის კვლევები/გამოკითხვები;

2020 წლის საქართველოს პარლამენტის არჩევნების მედია მონიტორინგს, კომისიის აპარატის თანამშრომლებთან ერთად, კონკურსის წესით სპეციალურად შერჩეული პირები ახორციელებდნენ.

კომუნიკაციების კომისიის მონიტორები სპეციალური ტრენინგის ფარგლებში ევროპის საბჭოს მედიაექსპერტმა, ორგანიზაცია „მემო 98“-ის აღმასრულებელმა დირექტორმა რასტო კუზელმა გადაამზადა. ექსპერტმა მონიტორებს, საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარებით, წინასაარჩევნო კამპანიის დროს თვისებრივი მედიამონიტორინგის განხორციელების თავისებურებები და სპეციფიკა გააცნო. მონიტორებმა საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტების შესაბამისად გაიღრმავეს ცოდნა წინასაარჩევნო მედიამონიტორინგის ჩატარებაში.

მონიტორინგის პროცესში დეტალური ანალიზი განხორციელდა სამაუწყებლო კომპანიებში წინა საარჩევნო ფასიანი და უფასო პოლიტიკური რეკლამის სამართლიან და გამჭვირვალე განაწილებაზე. საანგარიშო პერიოდში მთავარი საინფორმაციო გამოშვებებისა და

საზოგადოებრივ–პოლიტიკური გადაცემების, ასევე წინა საარჩევნო დებატების მონიტორინგის პროცესში ყურადღება გამახვილებულია სამაუწყებლო კომპანიების მხრიდან კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტებისათვის დათმობილ დროზე და მათი წინასაარჩევნო აქტივობების გაშუქებაზე. დაკვირების საგანია ასევე, მაუწყებლის მხრიდან იმ პოლიტიკური სუბიექტების საქმიანობის გაშუქება, რომლებიც არ წარმოადგენენ კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს, მაგრამ მონაწილეობენ არჩევნებში. მაუწყებლების მიერ მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, კომისია სწავლობს ყოველ კონკრეტულ საკითხს და ატარებს კანონით გათვალისწინებულ ღონისძიებებს.

ზემოაღნიშნული არხების მონიტორინგი მოიცავდა რაოდენობრივ და თვისობრივ ნაწილს. რაოდენობრივი ნაწილი მოიცავს სუბიექტისთვის დათმობილ დროს, პირდაპირ და ირიბ გაშუქებას და გაშუქების ტონს. <u>**პირდაპირ**</u> დათმობილი დროის ფარგლებში ანალიზდება შემთხვევები, როდესაც საარჩევნო სუბიექტი/კანდიდატი უშუალოდ საუბრობს/მონაწილეობს გადაცემაში, <u>**ირიბად**</u> დათმობილი დროის ფარგლებში, გაანალიზებულია მაუწყებლის მიერ საარჩევნო სუბიექტზე/კანდიდატზე, მათ მხარდამჭერებზე საუბრისთვის დახარჯული დრო. როგორც პირდაპირ, ისე ირიბად გაშუქებისას მონიტორის მიერ ხდება გაშუქების ტონის შეფასება სამი კატეგორიის შესაბამისად: პოზიტიური, ნეიტრალური და ნეგატიური.

მონიტორიგნის შედეგებში ინფორმაცია ასევე ჩაშლილია გენდერულ ჭრილშიც, კერძოდ, ცალკეულ მაუწყებლებზე საინფორმაციო გამოშვებების ფარგლებში ქალი და კაცი პოლიტიკოსებისათვის დათმობილი ჯამური დრო.

თვისობრივი მონიტორინგის დროს მაუწყებლზე დაკვირვება ხორციელდება შემდეგი სამაუწყებლო სტანდარტების ჭრილში: ბალანსი, სიზუსტე, რელევანტურობა, სიცხადე, მრავალფეროვნება, მნიშვნელოვანი ინფორმაციის გამოტოვება, სიძულვილის ენა, ყალბი ამბები, დისკრიმინაცია და ვიზუალური/აუდიო მანიპულაცია.

<u>**ძირითადი მიგნებები:**</u>

- საანგარიშო პერიოდში საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის საინფორმაციო გამოშვება „მოამბეში“ მეტწილად შუქდებოდა ქვეყანაში მიმდინარე ყველა მნიშვნელოვანი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენა. სიუჟეტებში დაცული იყო ბალანსი, რაც მაყურებელს საშუალებას აძლევდა გაცნობოდა საკითხის გარშემო არსებულ განსხვავებულ მოსაზრებებს. ჟურნალისტები აუდიტორიას აწვდიდნენ გადამოწმებულ და ფაქტებზე დაფუძნებულ ინფორმაციას, დაცული იყო ეთიკური და პროფესიული სტანდარტები. საანგარიშო პერიოდში არ გამოვლენილა

დეზინფორმაციის გავრცელებისა და მანიპულაციის შემთხვევები. წამყვანების ტონი იყო გაწონასწორებული. მაუწყებელმა გადაცემა „მოამბეში“ საეთერო დრო დაუთმო როგორც კვალიფიციურ, ისე არაკვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებსაც, არადისკრიმინაციულად უზრუნველყო ყველა საარჩევნო სუბიექტის თანაბარი მონაწილეობა დებატებში, თუმცა ზოგიერთმა პარტიამ ამ შესაძლებლობით სარგებლობაზე უარი განაცხადა.

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემების წამყვანები არ გამოხატავდნენ მიკერძოებულ ან ირონიულ დამოკიდებულებას არც ერთი პოლიტიკური აქტორისადმი და საკმაოდ ეფექტურად ახერხებდნენ დისკუსიის მართვას.

- „საზოგადოერივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიის“ მთავარი საინფორმაციო გამოშვების წამყვანები და ჟურნალისტები მიმდინარე მოვლენებს მეტწილად ეთიკური სტანდარტების დაცვით აშუქებდნენ. მაუწყებელი სხვადასხვა ფორმატით დროს უთმობდა როგორც კვალიფიციურ, ისე არაკვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს. არ გვხვდებოდა ჟურნალისტების მხრიდან რომელიმე პარტიისადმი დადებითი ან უარყოფითი დამოკიდებულების გამოვლენა. აჭარის ტელევიზიის მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში მეტწილად დაცული იყო მხარეებისა და მოსაზრებების მრავალფეროვნება და ბალანსი. როგორც წესი, მაყურებელს შესაძლებლობა ჰქონდა სხვადასხვა მხარის პოზიცია მოესმინა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ საკითხებზე.

  საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გადაცემებში წამყვანები სვამდნენ კრიტიკულ შეკითხვებს და ემიჯნებოდნენ დისკრიმინაციულ, სიძულვილის ენის შემცველ გამონათქვამებს. თუმცა იყო შემთხვევა, როდესაც რესპოდენტის მიერ გავრცელებულ სიძულვილის ენის შემცველ გამონათქვამებზე წამყვანს რეაქცია არ ჰქონია. იყო შემთხვევა, როდესაც ძალადობის და გინების შემცველი სცენა მაუწყებელმა რამდენჯერმე გაიმეორა. აღნიშნული კადრები ეთერში იმ რაოდენობით და მოცულობით განთავსდა, რაც კონტექსტით გამართლებულად ვერ ჩაითვლება. არხზე იმართებოდა დებატები სადაც მიწვეულები იყვნენ როგორც კვალიფიციური, ისე არაკვალიფიციური სუბიექტებიც.

- „ტელეიმედის“ საინფორმაციო გამოშვება „ქრონიკაში“ პოზიტიური დამოკიდებულება გამოიკვეთა მმართველი ძალა „ქართული ოცნებისა“ და საქართველოს მთავრობის მიმართ, ამასთან უარყოფითი დამოკიდებულება ოპოზიციის, კერძოდ, გაერთიანებულ ოპოზიცია „ძალა ერთობაშიაში“ შემავალი პარტიების მიმართ. მაუწყებელი აქტიურად აშუქებდა „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო კამპანიას და მინიმალურად ოპოზიციური პარტიების წინასაარჩევნო შეხვედრებს, ხანგრძლივი პირდაპირი

ჩართვები ეძღვნებოდა მმართველი გუნდის კანდიდატების წარდგენებს. მრავლად იყო სიუჟეტები, სადაც ბალანსი არ იყო დაცული.

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემის წამყვანები ღიად პოზიტიურ დამოკიდებულებას ავლენდნენ მმართველი ძალის მიმართ, იყო პირდაპირი მოწოდებაც ამომრჩევლისთვის თუ ვისთვის არ უნდა მიეცათ ხმა. რესპოდენტების მხრიდან ადგილი ჰქონდა სიძულვილის ენის გამოყენებას, რაზეც წამყვანებს რეაქცია არ ჰქონიათ. მაუწყებლის ეთერში არ გამართულა დებატები.

- მეორე საანგარიშო პერიოდში „რუსთავი 2“ განაგრძობდა მიმდინარე მოვლენების ეთიკური სტანდარტების დაცვით გაშუქებას. საინფორმაციო გამოშვებაში საარჩევნო სუბიექტების აქტივობები მეტწილად ნეიტრალურად შუქდებოდა, დაცული იყო ბალანსი.

  საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გადაცემებში პარტიებს საშუალება ჰქონდათ წარედგინათ წინასაარჩევნო პროგრამები. გადაცემა „ღამის კურიერის“ წამყვანები გაცნობილი იყვნენ საარჩევნო პროგრამებს, საჭირო დოკუმენტაციასა და სტატისტიკას, სვამდნენ რელევანტურ შეკითხვებს, რაც მაყურებელს შესაძლებლობას აძლევდა მიეღო ინფორმაცია როგორც წინასაარჩევნო პროგრამებზე, ასევე მათი განხორციელების გზებსა და რესურსებზე, რაც მთლიანობაში ხელს უწყობდა ინფორმირებული არჩევანის გაკეთებას.

  წამყვანები თითქმის ყოველთვის ემიჯნებოდნენ სტუმრების დისკრიმინაციულ განცხადებებს და მიუთითებდნენ მათ ამის შესახებ. წამყვანები კრიტიკულობას ინარჩუნებდნენ როგორც ოპოზიციის, ისე მმართველი გუნდის მიმართ.

- საანგარიშო პერიოდში „ტელეკომპანია პირველის“ მთავარ საინფორმაციო გამოშვებებსა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გადაცემებზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ არხი მიკერძოებულად აშუქებდა სხვა და სხვა საარჩევნო სუბიექტების წინასაარჩევნო კამპანიას. არხი მკვეთრად ნეგატიურ დამოკიდებულებას გამოხატავდა მთავრობის საქმიანობის და ქართული ოცნების წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქებისას. წამყვანების მხრიდან ადგილი ჰქონდა საკუთარი შეხედულებების რეალობად წარმოჩენის მცდელობას, რაც ხშირ შემთხვევაში ფაქტებით და მტკიცებულებებით არ იყო გამყარებული. არხი განაგრძობდა შერჩევით მიდგომას არჩევნებში მონაწილე პარტიების წინასარჩევნო აქტივობის გაშუქებისას, რაც, თავის მხრივ, ხელს უშლიდა ამომრჩეველს ინფორმირებული და გააზრებული არჩევანის გაკეთებაში.

მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში ადგილი ჰქონდა ყალბი ახალი ამბების და მანიპულაციის შემთხვევებს. ხელისუფლების და „ქართული ოცნების“ მიმართ ბრალდებები ჟურნალისტების მხრიდან გამოთქმულ ეჭვებსა და ვარაუდებზე იყო აგებული და არ ეფუძნებოდა მტკიცებულებებს.

საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გადაცემებში ნაკლებად ხდებოდა ანალიტიკური და წინასაარჩევნო თემატიკის დისკუსიების წარმართვა, ძირითადი დრო ხელისუფლების და „ქართული ოცნების“ კრიტიკას ეთმობოდა, იყო შემთხვევები როდესაც წამყვანები ღია სიმპატიებს გამოხატავდნენ ოპოზიციური კანდიდატების მიმართ. წამყვანის მხრიდან ადგილი ჰქონდა სიძულვილის ენის გამოყენებას.

- საანგარიშო პერიოდში „მთავარი არხის“ წამყვანები და ჟურნალისტები არ იცავდნენ ბალანსს, გამოხატავდნენ მკვეთრად პოზიტიურ დამოკიდებულებას მათთვის მისაღები ოპოზიციური პარტიების მიმართ, ხოლო მკვეთრად ნეგატიურ დამოკიდებულებას მმართველი პარტიისა და ხელისფულების მიმართ. არხზე ადგილი ჰქონდა დაუზუსტებელ, ანონიმურ წყაროებზე დაყრდნობით მიწოდებული ინფორმაციის გავრცელებას, მანიპულაციას, აგრესიულ მოწოდებებსა და უცენზურო გამონათქვამებს. არხის ჟურნალისტები არ ერიდებოდნენ ირონიულ და ნეგატიურ ტონს მმართველი პარტიის, საჯარო მოხელეების და სახელმწიფო თანამდებობის პირების მისამართით, ასევე სიძულვილის ენის გამოყენებას.

  ხელისუფლების მიმართ გამოთქმული მძიმე ბრალდებები არ იყო გამყარებული მტკიცებულებებით და ჟურნალისტების ან პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლების შეფასებებზე იყო დაფუძნებული.

ახალი ამბებისა და საზოგადოებრივ–პოლიტიკური გადაცემების მონიტორინგის შედეგები:

საზოგადოებრივი მაუწყებელი

I არხი

ახალი ამბები - მონიტორინგს დაქვემდებარებული სუბიექტებისთვის დათმობილი დრო: „ქართული ოცნება“ – 19.2% (პოზიტიური - 33%, ნეგატიური - 17%), საქართველოს მთავრობა - 15.6% (პოზიტიური - 16%, ნეგატიური - 5%), გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“ – 13.6% (პოზიტიური - 13%, ნეგატიური - 26%), ხოლო ყველა დანარჩენი სუბიექტი 10%–ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

ხარისხობრივი შეფასება - საანგარიშო პერიოდში პირველი არხის საინფორმაციო გამოშვება „მოამბეში“ (21:00) მეტწილად შუქდებოდა ქვეყანაში მიმდინარე ყველა მნიშვნელოვანი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენა. სიუჟეტებში დაცული იყო ბალანსი, რაც მაყურებელს საშუალებას აძლევდა გაცნობოდა საკითხის გარშემო არსებულ განსხვავებულ მოსაზრებებს. ჟურნალისტები აუდიტორიას აწვდიდნენ ზუსტ, გადამოწმებულ და ფაქტებზე დაფუძნებულ ინფორმაციას. გადაცემაში დაცული იყო ეთიკური და პროფესიული სტანდარტები. საანგარიშო პერიოდში არ გამოვლენილა დეზინფორმაციის გავრცელებისა და მანიპულაციის შემთხვევები. წამყვანების ტონი გაწონასწორებული იყო.

ახალი ამბები ძირითადად შუქდებოდა ნეიტრალურად. გამონაკლის შემთხვევებს წარმოადგენს, მაგალითად, 2020 წლის 12 ოქტომბერს განთავსებული სიუჟეტი. კერძოდ, 12 ოქტომბერს, „მოამბეში“ 21:31 საათზე გავიდა სიუჟეტი - **„ევროპული საქართველო“ ენმ-ს წინააღმდეგ“**, სადაც ჟურნალისტმა განაცხადა:

„გიგი უგულავა ამბობს, რომ თავდაპირველად „ნაციონალური მოძრაობა“ თავისი ადგილობრივი ლიდერშიფით ერთობის სათავეში იდგა, თუმცა ყველაფერი ვანო მერაბიშვილის ციხიდან გამოსვლამ შეცვალა. ერთი ყოფილი პატიმარი ფიქრობს, რომ მეორე ყოფილმა პატიმარმა ყოფილ პრეზიდენტში ბნელი ინსტინქტები გააღვიძა.“

საზოგადოებრივი მაუწყებლის დღის მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში სისტემატურად შუქდებოდა საარჩევნო სუბიექტების წინასაარჩევნო კამპანია. პოლიტიკური პარტიების აქტივობა წარმოჩენილი იყო მაქსიმალურად თანაბრად, არადისკრიმინაციულად და მიუკერძოებლად. აღსანიშნავია, რომ „მოამბე“ ძირითადად შემოიფარგლებოდა საარჩევნო სუბიექტების მოსახლეობასთან შეხვედრების, მათი დაპირებებისა და პროგრამების პრეზენტაციის გაშუქებით.

საანგარიშო პერიოდში პირველმა არხმა საარჩევნო სუბიექტებს კიდევ ერთი ახალი ფორმატი შესთავაზა - ყოველდღიურად, „მოამბის“ 21:00-საათიანი გამოშვების დასასრულს, კანდიდატებს ინდივიდუალურად 5-5 წუთი ეთმობოდათ ამომრჩევლისათვის საარჩევნო პროგრამებისა და ხედვის გასაცნობად. „მოამბემ“ უზრუნველყო სრული პოლიტიკური წარმომადგენლობა და საეთერო დროით სარგებლობის საშუალება მისცა არაკვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებსაც. აღნიშნული ფორმატი ძირითადად პრეზენტაციული ხასიათის იყო - გამოყოფილი დროის განმავლობაში პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები საუბრობდნენ საარჩევნო პროგრამების ძირითად პრიორიტეტებზე, თავიანთ ხედვებსა და სტრატეგიებზე.

საანგარიშო პერიოდში „მოამბეს“ ჩართვით სტუმრობდნენ შემდეგი კვალიფიციური და არაკვალიფიციური საარჩევნო სუბიექტები:

„რეფორმერი“ (ერთხელ), „სახალხო პარტია“ (ერთხელ), „პროგრესული საქართველო“ (ერთხელ), „კონსერვატიული პარტია“ (ერთხელ), „გირჩი“ (ერთხელ), „ჩვენი გაერთიანებული საქართველო“ (ერთხელ), „გამარჯვებული საქართველო“ (ერთხელ), „სოლიდარობის ალიანსი“ (ერთხელ), „ახალი ძალა“ (ერთხელ), „არჩევანი სამშობლოსთვის“ (ერთხელ), „საქართველოს განვითარების პარტია“ (ერთხელ), „რეფორმატორები“ (ერთხელ), „ეროვნულ-დემოკრატიული მოძრაობა“ (ერთხელ), „პ.პ სამართლიანობისთვის“ (ერთხელ), „მწვანეთა პარტია“ (ერთხელ), „მომავალი საქართველო“ (ერთხელ), „ერთიანი საქართველოსთვის“ (ერთხელ), „ლელო“ (ერთხელ), „ქართული იდეა“ (ერთხელ), „სოციალ-დემოკრატები საქართველოს განვითარებისთვის“ (ერთხელ), „ქართული ფესვები“ (ერთხელ), „ქართული არჩევანი“ (ერთხელ), „შეცვალე საქართველო“ (ერთხელ), „ქართული დასი“ (ერთხელ), პარტია „საქართველო“ (ერთხელ), „ქართული მარში“ (ერთხელ), „სოციალური სამართლიანობისთვის“ (ერთხელ), „მოქალაქეები“ (ერთხელ), „ზვიადის გზა - ღმერთის, სიმართლისა და ქვეყნისთვის“ (ერთხელ), „თავისუფალი საქართველო“ (ერთხელ), „თავისუფალი დემოკრატები“ (ერთხელ), „საქართველოს ძალოვან ვეტერანთა და პატრიოტთა პოლიტიკური მოძრაობა“ (ერთხელ), „დემოკრატიული მოძრაობა“ (ერთხელ), გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“ (ერთხელ), „ევროპული საქართველო“ (ერთხელ), „თავისუფლება - ზვიად გამსახურდიას გზა“, (ერთხელ), „ახალი ქრისტიან-დემოკრატები“ (ერთხელ), „სტრატეგია აღმაშენებელი“ (ერხელ), „ქართული ოცნება“ (ერთხელ), „ტრადიციონალისტები“ (ერთხელ), „პატრიოტთა ალიანსი“ (ერთხელ), „ტრიბუნა - ქდმ“ (ერთხელ), „ლეიბორისტული პარტია“ (ერთხელ).

წამყვანის ინფორმაციით, პოლიტიკური პარტიებიდან „მოამბის“ საეთერო დროით სარგებლობაზე უარი განაცხადეს „ევროატლანტიკურმა ვექტორმა“, „სახალხო მოძრაობა ქრისტიან-დემოკრატებმა“, „მამულიშვილთა ორდენი - სამშობლომ“, „მრეწველობა გადაარჩენს

საქართველოს“, მოძრაობამ „თავისუფალი საქართველოსთვის“ და „ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ“.

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემები - გადაცემაში **„ახალი კვირა“** გავიდა რეპორტაჟი მონიტორინგს დაქვემდებარებული სუბიექტის - საქართველოს მთავრობის მონაწილეობით (ერთხელ).

საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის გადაცემაში **„დებატები 2020“** მონაწილეობდნენ შემდეგი პოლიტიკური პარტიები:

„ტრადიციონალისტები“ (ერთხელ), „ლეიბორისტული პარტია“ (ერთხელ), „ტრიბუნა-ქდმ“ (ერთხელ), „საქართველო“ (ერთხელ), „შეცვალე საქართველო“ (ერთხელ), „სოციალური სამართლიანობისთვის“ (ერთხელ), „ქართული მარში - ეროვნული მოძრაობა“ (ერთხელ), „ზვიადის გზა - ღმერთის, სიმართლისა და ქვეყნისთვის“ (ერთხელ), „ერთიანი საქართველოსთვის“ (ერთხელ), „ქართული არჩევანი“ (ერთხელ), „ქართული ფესვები“ (ერთხელ), „სოციალ-დემოკრატები საქართველოს განვითარებისთვის“ (ერთხელ), „სახალხო მოძრაობა ქრისტიან-დემოკრატები“ (ერთხელ), „ლელო“ (ერთხელ), „ქართული ოცნება“ (ერთხელ), „სტრატეგია აღმაშენებელი“ (ერთხელ), „მომავალი საქართველო“ (ერთხელ), „მწვანეთა პარტია“ (ერთხელ), „ახალი ძალა“ (ერთხელ), „პ.პ სამართლიანობისთვის“ (ერთხელ), „რეფორმატორები“(ერთხელ), „ქართული იდეა“ (ერთხელ), „ეროვნულ-დემოკრატიული მოძრაობა“ (ერთხელ), „არჩევანი სამშობლოსათვის“ (ერთხელ), „საქართველოს განვითარების პარტია“ (ერთხელ), გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“ (ერთხელ), „ახალი ქრისტიან-დემოკრატები“ (ერთხელ), „თავისუფლება-ზვიად გამსახურდიას გზა“ (ერთხელ), „ევროპული საქართველო“ (ერთხელ), „სოლიდარობის ალიანსი“ (ერთხელ), „კონსერვატიული პარტია“ (ერთხელ), „გირჩი“ (ერთხელ), „პროგრესული საქართველო“ (ერთხელ), „სახალხო პარტია“ (ერთხელ), „რეფორმერი“ (ერთხელ), პარტია „თეთრები“ (ერთხელ), „გამარჯვებული საქართველო“ (ერთხელ), „მშრომელთა სოციალისტური პარტია“ (ერთხელ), „თავისუფალი საქართველო“ (ერთხელ), „თავისუფალი დემოკრატები“ (ერთხელ), „საქართველოს ძალოვან ვეტერანთა და პატრიოტთა პოლიტიკური მოძრაობა“ (ერთხელ) და „დემოკრატიული მოძრაობა“ (ერთხელ).

პირველმა არხმა არადისკრიმინაციულად უზრუნველყო ყველა საარჩევნო სუბიექტის თანაბარი მონაწილეობა დებატებში, თუმცა ზოგიერთმა პარტიამ ამ შესაძლებლობით სარგებლობაზე უარი განაცხადა. დებატებში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს: „პატრიოტთა ალიანსმა“, „მოქალაქეებმა“, „ქართულმა დასმა“, „ევროატლანტიკურმა ვექტორმა“, „მოძრაობა თავისუფალმა საქართველომ“, „ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ“ და „მრეწველობა გადაარჩენს საქართველომ“ (წამყვანის განმარტებით, საარჩევნო სუბიექტს „მრეწველობა

გადაარჩენს საქართველოს“ დებატების ფორმატით სარგებლობაზე პრინციპული უარი არ უთქვამს, თუმცა პარტიამ გადაცემაში მონაწილეობა ვერ მოახერხა).

1 ოქტომბერს დებატები გაიმართა საარჩევნო სუბიექტების - „ტრადიციონალისტების“, „ლეიბორისტული პარტიისა“ და „ტრიბუნა-ქდმ“-ს წარმომადგენლებს შორის;

6 ოქტომბერს გამართულ დებატებში მონაწილეობდნენ: „საქართველო“, „შეცვალე საქართველო“, „სოციალური სამართლიანობისთვის“, „ქართული მარში - ეროვნული მოძრაობა“ და „ზვიადის გზა - ღმერთის, სიმართლისა და ქვეყნისთვის“;

13 ოქტომბერს დებატები გაიმართა საარჩევნო სუბიექტებს შორის, ესენია: „ერთიანი საქართველოსთვის“, „ქართული არჩევანი“, „ქართული ფესვები“, „სოციალ-დემოკრატები საქართველოს განვითარებისთვის“, „სახალხო მოძრაობა ქრისტიან-დემოკრატები“ და „ლელო“.

15 ოქტომბერს დებატები გაიმართა საარჩევნო სუბიექტების - „ქართული ოცნებისა“ და „სტრატეგია აღმაშენებლის“ წარმომადგენლებს შორის.

20 ოქტომბერს დებატები გაიმართა შემდეგი საარჩევნო სუბიექტების მონაწილეობით: „მომავალი საქართველო“, „მწვანეთა პარტია“ „ახალი ძალა“ „პ.პ სამართლიანობისთვის“ „რეფორმატორები“ „ქართული იდეა“ „ეროვნულ-დემოკრატიული მოძრაობა“ „არჩევანი სამშობლოსათვის“ და „საქართველოს განვითარების პარტია“.

22 ოქტომბერს დებატები გაიმართა საარჩევნო სუბიექტების - გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშიას“, „ახალი ქრისტიან-დემოკრატების“, „თავისუფლება-ზვიად გამსახურდიას გზისა“ და „ევროპული საქართველოს“ წარმომადგენლებს შორის.

27 ოქტომბერს გამართულ დებატებში მონაწილეობდნენ სუბიექტები: „სოლიდარობის ალიანსი“, „კონსერვატიული პარტია“, „გირჩი“, „პროგრესული საქართველო“, „სახალხო პარტია“, „რეფორმერი“, პარტია „თეთრები“, „გამარჯვებული საქართველო“ და „მშრომელთა სოციალისტური პარტია“.

29 ოქტომბერს დებატები გაიმართა საარჩევნო სუბიექტების - „თავისუფალი საქართველოს“, „თავისუფალი დემოკრატების“, „საქართველოს ძალოვან ვეტერანთა და პატრიოტთა პოლიტიკური მოძრაობისა“ და „დემოკრატიული მოძრაობის“ წარმომადგენლებს შორის.

საზოგადოებრივ მაუწყებელზე გადაცემა **„დებატები2020“** პირველი ოქტომბრიდან დაიწყო და ეთერში ყოველ სამშაბათსა და ხუთშაბათს, 22:30 საათზე გადიოდა. 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე პარტიების რიგითობა და თითოეულ გადაცემაში პოლიტიკური სუბიექტების შემადგენლობა წილისყრით განისაზღვრა, პარტიებს კი მიენიჭათ პრეროგატივა თავად აერჩიათ დებატებში საკუთარი წარმომადგენელი. საანგარიშო პერიოდში სულ 8 დებატი

(ქრონომეტრაჟი 90 წუთი) გაიმართა. აქედან ოთხი გადაცემა კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს, ოთხი კი არაკვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს დაეთმო.

გადაცემას ჰყავდა ორი წამყვანი, რომლებიც მონაცვლეობით უძღვებოდნენ ეთერს. დებატები შედგებოდა რამდენიმე რაუნდისგან - თავდაპირველად კანდიდატები მიმართავდნენ და ეცნობოდნენ მაყურებლებს; შემდგომ მათ წამყვანის მიერ დასმულ კონკრეტულ კითხვებზე უწევდათ პასუხის გაცემა, მომდევნო რაუნდში კი ჰქონდათ შესაძლებლობა სტუდიაში მყოფი სასურველი ოპონენტებისთვის თავადვე დაესვათ კითხვა. დებატების დასკვნით ნაწილში პოლიტიკურ სუბიექტებს შეეძლოთ ამომრჩევლისთვის შემაჯამებელი სიტყვით მიემართათ. თითოეულ კანდიდატს მისალმებისა და შეჯამებისთვის მინიჭებული ჰქონდა ერთი წუთი, წამყვანის კითხვებზე პასუხის გასაცემად – ორი წუთი, ხოლო ერთმანეთისთვის კითხვაზე პასუხის გასაცემად – ერთი წუთი.

დებატების ფორმატი მონაწილე თითოეულ საარჩევნო სუბიექტს სთავაზობდა თანაბარ პირობებსა და დროს ამომრჩევლისთვის საკუთარი პოზიციების, პროგრამებისა და პრიორიტეტების გასაცნობად. წამყვანი არ გამოხატავდა მიკერძოებულ ან ირონიულ დამოკიდებულებას არც ერთი პოლიტიკური აქტორისადმი და თანაბრად მომთხოვნი იყო როგორც ოპოზიციის წევრების, ისე მმართველი პარტიის წარმომადგენლის მიმართ. წამყვანი, ძირითადად, ითავსებდა მოდერატორის როლს, ინარჩუნებდა ნეიტრალურ, კორექტულ ტონს და საკმაოდ ეფექტურად ახერხებდა დისკუსიის მართვას. იყო შემთხვევები, როცა დებატებში მონაწილე კონკურენტების დაპირისპირებისა და კონფლიქტის გამო, გადაცემა გასცდა დადგენილ ჩარჩოს, თუმცა წამყვანმა მალევე მოახერხა სიტუაციის კონტროლი და დებატების კონსტრუქციულ კალაპოტში მოქცევა.

წამყვანის კითხვები, ძირითადად, პარტიების საარჩევნო სტრატეგიებს, პროგრამებსა და მათში გაწერილ ახალ ინიციატივებს ეფუძნებოდა, განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებდა ეკონომიკასთან, საგარეო პოლიტიკასთან და განათლებასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

მთლიანობაში, დებატები ორიენტირებული იყო კანდიდატებისთვის თანაბარი დროის დათმობასა და მათთვის არადისკრიმინაციული პლატფორმის შეთავაზებაზე. ამომრჩეველი, მეტწილად, იღებდა იმ ინფორმაციას, რაც მას კენჭისყრის დღეს ინფორმირებული არჩევანის გაკეთებაში დაეხმარებოდა.

საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემა **„კვირის ინტერვიუ“,** რომლის ეთერშიც მოწვეული იყო „ლელოს“ წარმომადგენელი (ერთხელ).

საანგარიშო პერიოდში „კვირის ინტერვიუ“ საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში ორჯერ გავიდა, მონოტორინგს დაქვემდებარებული სუბიექტი მოწვეული იყო ერთ გადაცემაში. შეიძლება ითქვას, რომ წამყვანი გადაცემაში საკმაოდ აქტიურად იყო ჩართული. მან სტუმართან განიხილა მნიშვნელოვანი საზოგადოებრივ-პოლიტიკური საკითხები. სვამდა სიღრმისეულ და კრიტიკულ კითხვებს, რათა რესპონდენტისგან მიეღო ამომწურავი პასუხები სხვადასხვა მიმართულებით. ამასთანავე, ცდილობდა წარმოეჩინა სტუმრის მიერ დაფიქსირებული მოსაზრების საწინააღმდეგო პოზიციაც, რათა ოპონირება გაეწია მისთვის. წამყვანი არ გამოხატავდა რაიმე სახის სიმპათიას ან ანტიპათიას გადაცემაში მოწვეული საარჩევნო სუბიექტის მიმართ. ზოგჯერ გამოხატავდა პირად მოსაზრებებს.

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, „საზოგადოებრივ მაუწყებელის“ თვითრეგულირების მექანიზმში არც ერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.



პირდაპირი და ირიბი გაშუქება
ირიბი
პირდაპირი
ჩვენი საქართველო - სოლიდარობის ალიანსი
36%
64%
დემოკრატიული მოძრაობა
45%
55%
თავისუფალი საქართველო
38%
62%
სტრატეგია აღმაშენებელი
44%
56%
ლელო
42%
58%
ლეიბორისტული პარტია
41%
59%
პატრიოტთა ალიანსი
47%
53%
ევროპული საქართველო
48%
52%
გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია"
64%
36%
ქართული ოცნება
57%
43%
ადგილობრივი მთავრობა
58%
42%
პ.პ. სამართლიანობისთვის
37%
63%
საქართველოს მთავრობა
54%
46%


ტონი
ნეგატიური
ნეიტრალური
პოზიტიური
16%
80%
5%
46%
54%
25%
67%
8%
33%
50%
17%
13%
62%
26%
17%
76%
7%
43%
56%
1%
30%
69%
1%
37%
58%
5%
35%
63%
2%
58%
40%
2%
40%
59%
50%
47%
3%
საქართველოს მთავრობა
ბ.ბ. სამართლიანობისთვის
ადგილობრივი მთავრობა
ქართული ოცნება
ევროპიანებმა ოპოზიცია „ასლა ერთობაშია"
ევროპული საქართველო
პატრიოტთა ალიანსი
ლეიბორისტული პარტია
ლელო
სტრატეგია აღმაშენებელი
თავისუფალი საქართველო
დემოკრატიული მოძრაობა
ჩვენი საქართველო - სოლიდარობის ალიანსი


პოზიტიური და ნეგატიური გაშუქება
პოზიტიური
ნეგატიური
16%
5%
46%
25%
8%
33%
17%
13%
26%
17%
7%
43%
1%
30%
1%
37%
5%
35%
2%
58%
2%
40%
50%
3%
საქართველოს მთავრობა
პ.პ. სამართლიანობისთვის
ადგილობრივი მთავრობა
ქართული ოცნება
გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია"
ევროპული საქართველო
პატრიოტთა ალიანსი
ლეიბორისტული პარტია
ლელო
სტრატეგია აღმაშენებელი
თავისუფალი საქართველო
დემოკრატიული მოძრაობა
ჩვენი საქართველო - სოლიდარობის ალიანსი


გენდერი
20%
80%
ქალი
კაცი

საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია

ახალი ამბები - მონიტორინგს დაქვემდებარებული სუბიექტებისთვის დათმობილი დრო: „ქართული ოცნება“ – 20.7% (პოზიტიური - 41%, ნეგატიური - 26%), გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“ – 13.7% (პოზიტიური - 18%, ნეგატიური - 31%) საქართველოს მთავრობა - 12% (პოზიტიური - 23%, ნეგატიური - 8%), აჭარის მთავრობა - 11% (პოზიტიური - 20%, ნეგატიური - 29%), ხოლო ყველა დანარჩენი სუბიექტი 10%–ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

ხარისხობრივი შეფასება - მთავარი საინფორმაციო გამოშვების წამყვანები და ჟურნალისტები მიმდინარე მოვლენებს მეტწილად ეთიკური სტანდარტების დაცვით აშუქებდნენ.

საინფორმაციო გამოშვების წამყვანის მხრიდან ყოველი გადაცემის მსვლელობისას ხდებოდა აღნიშვნა, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია კანონით დადგენილი მოთხოვნის შესაბამისად სხვადასხვა ფორმატით დროს უთმობს როგორც კვალიფიციურ, ისე არაკვალიფიციურ საარჩენო სუბიექტებს, ამ აღნიშვნას მოსდევდა საარჩევნო სუბიექტების 6 წუთიანი ჩართვა ინტერვიუს ფორმატში.

საინფორმაციო გამოშვებაში არ გვხვდებოდა ჟურნალისტების მხრიდან რომელიმე პარტიისადმი მკვეთრად დადებითი ან უარყოფითი დამოკიდებულების გამოვლენა. აჭარის ტელევიზიის მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში მეტწილად დაცული იყო მხარეებისა და მოსაზრებების მრავალფეროვნება და ბალანსი. როგორც წესი, მაყურებელს შესაძლებლობა ჰქონდა მოესმინა სხვადასხვა მხარის პოზიცია პოლიტიკურ და საზოგადოებრივ საკითხებზე.

,,მაუწყებელთა ქცევის კოდექსის'' 55-ე მუხლის დარღვევად შეიძლება მივიჩნიოთ 21 ოქტომებრის სიუჟეტი (20:09), რომლის თანახმადაც „მაუწყებელის მიერ პოტენციურად შეურაცხმყოფელი მასალის გადაცემა გამართლებული უნდა იყოს სარედაქციო კონტექსტით და ემსახურებოდეს საზოგადოებრივ ინტერესს.“ სიუჟეტი ზუგდიდის სპეცოპერაციის დროს პოლიტიკურ პარტიებს შორის მომხდარ დაპირისპირებას გვამცნობდა, ჟურნალისტის მონოლოგს გასდევდა კადრები, სადაც ოპოზიციური პარტიის წევრები ერთმანეთს ფიზიკურად უსწორდებოდნენ და სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდნენ, იგინებოდნენ და ერთმანეთს უცენზურო სიტყვებით მოიხსენიებდნენ. აღნიშნულს მოსდევდა ჟურნალისტის ჩართვა, რომელიც იგივე ინფორმაციას აჟღერებდა. ჟურნალისტის ჩართვის პარალელურად, ერთმანეთის მიყოლებით ხდებოდა იდენტური ძალადობრივი კადრების გაშუქება, შემდგომ კი ამ კადრების ჩვენება სინქრონის გარეშე, ამას წინ უძღვოდა ჟურნალისტის კომენტარი: ,,ახლა შეგვიძლია მოვისმინოთ მხარეთა დაპირისპირებები'', სადაც რეალურად ვისმენდით გინებას და ვუყურებდით ერთმანეთის ფიზიკურ შეურაცხყოფას. ჯამში 4 ჯერ მოხდა ერთი და იმავე კადრების ჩვენება ერთ სიუჟეტში. იმავე საინფორმაციო გადაცემაში, მოგვიანებით 20:35-დან 20:38-მდე, ზედიზედ ორჯერ მოხდა იგივე კადრების გაშუქება. მიუხედავად იმისა, რომ

აღნიშნული კადრები შესაძლებელია წარმოადგენდეს საზოგადოებრივ ინტერესს და მათი ჩვენება კონტექსტით გამართლებული იყოს, მოცულობა რომლითაც მაუწყებელმა ეს მაყურებელს შესთავაზა მნიშვნელოვნად სცდება აღნიშნულ კონტექსტს.

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემები - სამაუწყებლო არხზე ,,საზოგადოებრივი მაუწყებელის აჭარის ტელევიზია'' განთავსებულია შემდეგი საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემები: **,,თავისუფალი სივრცე ვახო ხუზმიაშვილთან ერთად''** და **„არჩევნები 2020''**.

საანგარიშო პერიოდში საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გადაცემას - ,,**თავისუფალი სივრცე ვახო ხუზმიაშვილათან ერთად''** ჩართვით სტუმრობდნენ: გაერთიანებული ოპოზიცია ,,ძალა ერთობაშია'' (ორჯერ), ,,ქართული ოცნება'' (ერთხელ), ,,პარტია სამართლიანობისთვის'' (ერთხელ), ,,ევროპული საქართველო'' (ორჯერ), ,,სტრატეგია აღმაშენებელი'' (ერთხელ), ,,ლელო'' (ერთხელ), ,,თავისუფალი საქართველო'' (ერთხელ), ,,ლეიბორისტული პარტია'' (ერთხელ), ,,მოქალაქეები'' (ერთხელ), ,,ერთიანი საქართველო-დემოკრატიული მოძრაობა'' (ერთხელი). გარდა საარჩევნო სუბიექტებისა გადაცემას სტუმრობდნენ ,,აჭარის მთავრობის'' (ერთხელ) და ,,ქართველოს მთავრობის'' (ერთხელ) წარმომადგენლები.

აღნიშნულ საზოგადოებრივ პოლიტიკურ გადაცემაში წამყვანი სვამდა კრიტიკულ შეკითხვებს, თუმცა იყო შემთხვევები, როდესაც წამყვანი ირონიულ დამოკიდებულებას ვერ მალავდა. მაგალითად, ვახო ხუზმიაშვილი გაერთიანებული ოპოზიციის „ძალა ერთობაშიას" წარმომადგენელს მიმართავს - ,,თქვენ სიაში 41-ე ადგილზე ხართ, ეს სიმბოლურია, დამთხვევაა თუ რასთან გვაქვს საქმე?!'' (21:25), აღნიშნულს მოჰყვება რეპლიკა ჟურნალისტის მხრიდან -,, ნოსტალგია ხომ არ გაქვთ?!'' (21:26).

რიგ შემთხვევაში გადაცემაში სტუმრის მიერ გამოყენებულ იქნა სიძულვილის ენის შემცველი რეპლიკები. მაგალითად, 5 ოქტომებრს გაერთიანებული ოპოზიციის ,,ძალა ერთობაშია'' წარმომადგენელი „ქართულ ოცნებას" ასე მოიხსენიებს - ,,ბიძინა ივანიშვილი და მისი სამთავრობო ხროვა'' (21:04); 12 ოქტომებერს, „სრატეგია აღმაშენებლის'' წარმომადგენლის მხრიდან გაკეთდა პარტია ლელოს ლიდერის მისამართით შემდეგი რეპლიკა - „ვინ უნდა გამოიყვანოს კრიზისიდან 30 წლიანმა ნათაღლითარმა ბანკირმა?!" (21:48). გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნულის საპირწონედ გადაცემის წამყვანის მხრიდან ვერ მოვისმინეთ კორექტულობისკენ მოწოდება.

გადაცემაში ,,თავისუფალი სივრცე ვახო ხუზმიაშვილთან ერთად'' დებატები გაიმართა შემდეგ საარჩევნო სუბიექტებს შორის:

5 ოქტომბერი (21:00 სთ): ,,პარტია სამართლიანობისთვის'' და გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია"; 12 ოქტომბერი (21:00სთ) - ,,სტრატეგია აღმაშენებელი'' და ,,ლელო''.

მიუხედავად იმისა, რომ პარტიები ჩართვით სტუმრობდნენ გადაცემას, ფორმატი იძლეოდა ოპონირების შესაძლებლობას.

აღსანიშნავია, რომ აჭარის საზოგადებრივმა ტელევიზიამ საანგარიშო პერიოდში თოქ-შოუ **,,არჩევნები 2020"** სამი სხვა და სხვა ფორმატით გავიდა ეთერში.

თოქ-შოუ **არჩევნები 2020 - საარჩევნო პროგრამის პრეზენტაცია** - აღნიშნული ფორმატის ფარგლებში საარჩევნო სუბიექტებს ჰქონდათ შესაძლებლობა ესაუბრათ პარტიის პროგრამასა და გეგმებზე. გადაცემას სტუმრობდნენ შემდეგი საარჩევნო სუბიექტები: ,,პარტია სამართლიანობისთვის", ,,სოლიდარობის ალიანსი", ,,ქართული მარში", ,,ბაგრატიონი სახე+", ,,ქართული იდეა", ,,სოციალური სამართლიანობისთვის", ,,ქართული არჩევანი", ,,პატრიოტთა ალიანსი", ,,ლეიბორისტული პარტია"; ,,თავისუფლება ზვიად გამსახურდიას გზას", ,,ტრიბუნა", ,,ერთიანი საქართველო დემოკრატიული მოძრაობა", ,,ევროპული საქართველო", ,,კონსერვატიული პარტია", ,,თავისუფალი საქართველო", ,,ქართული ოცნება", გაერთიანებული ოპოზიცია ,,ძალა ერთობაშია", ,,სტრატეგია აღმაშენებელი".

თოქ-შოუ ,,არჩევნები 2020" - მაჟორიტარობის კანდიდატები - აღნიშნული ფორმატით გათვალისიწნებული გახლდათ **აჭ**არის 3 ოლქის კვალიფიციური და არაკვალიფიციური მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატების წარდგენა საზოგადოებისთვის.

ამ ფორმატში დებატები გაიმართა შემდეგი საარჩევნო სუბიქტების მაჟორიტარობის კანდიდატებს შორის:

01.10.2020 (21:00) - ,,სოლიდარობის ალიანსი", ,,ალეკო ელისაშვილი - მოქალაქეები", ,,პარტია სამართლიანობისთვის", „ლელო";

08.10.2020 (21:00)- ,,პატრიოტთა ალიანსი", ,,სტრატეგია აღმაშენებელი", ,,კონსერვატიული პარტია";

15.10.2020 (21:00) - ,,ქართული მარში", „ქართული იდეა", ,,ბაგრატიონი სახე+";

22.10.2020 (21:00) - ,,ტრიბუნა", ,,ლეიბორისტული პარტია", ,,თავისუფალი საქართველო".

თოქ=შოუ ,,არჩევნები 2020 - პირველების დებატები" - საზოგადოებას შესაძლებლობა ჰქონდა საარჩევნო სუბიექტების საარჩევნო სიის პირველი ნომრებისთვის მოესმინათ. აღნიშნულის ფარგლებში დებატები განხორციელდა შემდეგ საარჩევნო სუბიექტებს შორის:

26.10.2020 (21:00) -,,ევროპული საქართველო", გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია", „პარტიოტთა ალიანსი", „ლეიბორისტული პარტია", „თავისუფალი საქართველო". **28.10.2020 (21:00**) - ,,ერთიანი საქართველო", „თავისუფლება ზვიად გამსახურდიას გზა".

თოქ-შოუს „არჩევნები 2020“ სხვადასხვა ფორმატში ჟურნალისტების მხრიდან არაერთხელ იქნა დასმული კრიტიკული შეკითხვები, ამასთან რამდენჯერმე მოუწიათ რესპონდენტების მხრიდან გაკეთებულ დაუსაბუთებელ არგუმენტებზე შესაბამისი რეაგირების მოხდენა და დისკრიმინაციული განცხადებებისგან გამიჯვნა (6.10.2020 - 22:34) „ვემიჯნები დისკრიმინაციულ გამონათქვამებს“ - აღნიშნა ჟურნალისტმა „ქართული მარშის“ წარმომადგენლის განცხადების საპასუხოდ, რომელიც „ლგბტ პროპაგანდას“ ეხებოდა. გასათვალისწინებელია, რომ წამყვანები ხშირად იშველიებდნენ სხვადასხვა ფაქტებს და სტატისტიკას კითხვების ფორმულირებისას შესაბამისი წყაროების მითითებით და რესპოდენტებსაც იმავეს მოუწოდებდნენ (08.10.20 - 21:48; 22:21; 20.10.2020 - 22:18).

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, აჭარის ტელევიზიის თვითრეგულირების მექანიზმში მაუწყებლის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არც ერთი საჩივარი შესულა.




პირდაპირი და ირიბი გაშუქება
ირიბი
პირდაპირი
ჩვენი საქართველო - სოლიდარობის ალიანსი
23%
77%
ქართული მარში
60%
40%
დემოკრატიული მოძრაობა
46%
54%
თავისუფალი საქართველო
44%
56%
სტრატეგია აღმაშენებელი
42%
58%
ლელო
50%
50%
ლეიბორისტული პარტია
70%
30%
პატრიოტთა ალიანსი
34%
66%
ევროპული საქართველო
65%
35%
გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია"
65%
35%
ქართული ოცნება
59%
41%
ადგილობრივი მთავრობა
58%
42%
აჭარის მთავრობა
73%
27%
საქართველოს მთავრობა
41%
59%


ტონი
ნეგატიური
ნეიტრალური
პოზიტიური
23%
69%
8%
20%
51%
29%
28%
36%
36%
41%
33%
26%
18%
51%
31%
14%
53%
33%
64%
32%
4%
49%
47%
3%
43%
43%
14%
55%
36%
10%
59%
40%
2%
50%
47%
3%
24%
23%
54%
70%
28%
2%
საქართველოს მთავრობა
აჭარის მთავრობა
ადგილობრივი მთავრობა
ქართული ოცნება
ფაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია"
ევროპული საქართველო
პატრიოტთა ალიანსი
ლეიბორისტული პარტია
ლელი
სტრატეგია აღმაშენებელი
თავისუფალი საქართველო
დემოკრატიული მოძრაობა
ქართული მარში
ჩვენი საქართველო - სოლიდარობის ალიანსი


პოზიტიურიო და ნეგატიური გაშუქება
პოზიტიური
ნეგატიური
23%
8%
20%
29%
28%
36%
41%
26%
18%
31%
14%
33%
64%
4%
49%
3%
43%
14%
55%
10%
59%
2%
50%
3%
24%
54%
70%
2%
საქართველოს მთავრობა
აჭარის მთავრობა
ადგილობრივი მთავრობა
ქართული ოცნება
გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია"
ევროპული საქართველო
პატრიოტთა ალიანსი
ლეიბორისტული პარტია
ლელო
სტრატეგია აღმაშენებელი
თავისუფალი საქართველო
დემოკრატიული მოძრაობა
ქართული მარში
ჩვენი საქართველო - სოლიდარობის ალიანსი


გენდერი
19%
81%
ქალი
კაცი

შპს „ტელეიმედი“

ახალი ამბები - მონიტორინგს დაქვემდებარებული სუბიექტებისთვის დათმობილი დრო: ქართული ოცნება - 47.4% (პოზიტიური - 64%, ნეგატიური - 1%), საქართველოს მთავრობა - 21.8% (პოზიტიური - 33%, ნეგატიური - 2%), გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“ – 17.5% (პოზიტიური - 0%, ნეგატიური - 84%), ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტი 10%–ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

ხარისხობრივი შეფასება - მონიტორინგის პერიოდში 20:00 საათიან საინფორმაციო გამოშვება „ქრონიკაში“ პოზიტიური დამოკიდებულება გამოიკვეთა „ქართული ოცნებისა“ და საქართველოს მთავრობის მიმართ, ამასთან, უარყოფითი დამოკიდებულება ოპოზიციის, კერძოდ, გაერთიანებულ ოპოზიცია „ძალა ერთობაშიაში“ შემავალი პარტიების მიმართ.

„ტელეიმედი“ აქტიურად აშუქებდა „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო კამპანიას და მიმინალურ დროს უთმობდა ოპოზიციური პარტიების წინასაარჩევნო შეხვედრებს. მაგალითად: 01.10.2020–ში საინფორმაციო გადაცემა “ქრონიკის“ პირველივე სიუჟეტი „ქართული ოცნების“ საარჩევნო პროგრამის პრეზენტაციას დაეთმო, რისთვისაც არხმა ერთი საათი და 51 წუთი პირდაპირი ეთერი გამოყო; 28.10.2020 – სოზარ სუბარის წარდგენას 23 წუთი, ნოდარ ტურძელაძის წარდგენას 20 წუთი დაუთმო; 30.10.2020 – „ქართული ოცნების“ შემაჯამებელი შეხვედრას – 45 წუთი დაუთმო; 17.10.2020 – ირაკლი ჩიქოვანის წარდგენა ზუგდიდში 25 წუთი შუქდებოდა.

მონიტორინგის პერიოდში „ქართული ოცნების“ 16 მაჟორიტარობის კანდიდატის წარდგენა, მათი პოლიტიკური აქტივობები და შეხვედრები მოსახლეობასთან პოზიტიურ კონტექსტში გაშუქდა. ცალკე სიუჟეტები დაეთმო მმართველი ძალის საარჩევნო პროგრამას და მის თემატურ განხილვას. 20.10.20 – „ქართული ოცნების“ საარჩევნო პროგრამის თემატური პრეზენტაცია გაიმართა, 26.10.20 – ოცნების საარჩევნო პროგრამის წარდგენა მოხდა შია ქართლში, 02.10.20 ზაზა დუგლაძის , 05.10.20 გოგი მეშველიანის, 09.10.20 გოჩა ენუქიძის და რესან კონცელიძის, 02.10.20 ანტონ ობოლაშვილის, ნინო ლაცაბიძის 13.10.20 სამველ მანუკიანის, 16.10.20 ვასილ ჩიგოგიძის, 26.10.20 დავით სონღულაშვილის, შალვა კერესელიძის და მიხეილ ყაველაშვილის წარდგენები გაშუქდა.

საანგარიშო პერიოდში არხზე გასულ სიუჟეტებში ბალანსი არ იყო დაცული. მაგალითად, 27.10.20 სიუჟეტში – „სააკაშვილი-მერაბიშვილის ძალადობრივი სქემა“ - მაუწყებელმა „ქართული ოცნების“ სამი წარმომადგენლის კომენტარი შესთავაზა მაყურებელს, ხოლო გაერთიანებული ოპოზიციიდან ნიკა მელია სხვა არხზე გაკეთებული კომენტარით იყო წარმოდგენილი. იყო სიუჟეტები, რომლებშიც მეორე მხარის პოზიცია საერთოდ არ დაფიქსირებულა, მაგალითად: 20.10.20 – „გოგა ხაინდრავას განცხადება“, სადაც სტუმარი

საუბრობდა და ბრალდებას უყენებდა ნაციონალურ მოძრაობას დავით გარეჯის საკითხზე, თუმცა მეორე მხარე წარმოდგენილი არ იყო; 03.10.20 - სიუჟეტში „დავით მათიკაშვილის კრიტიკა“ რამდენიმე ოპოზიციური პარტია დადანაშაულდა პანდემიის საწინააღმდეგო რეკომენდაციების დარღვევაში და არცერთის საპასუხო პოზიცია არ იყო წარმოდგენილი; 20.10.20 - „ინციდენტი ბოლნისში“, სადაც „ნაციონალურ მოძრაობას“ პროვოკაციაში ადანაშაულებდნენ და არ იყო გაშუქებული მეორე მხარის პოზიცია.

„იმედი“ არ აშუქებდა ან მინიმალურ დროს უთმობდა ოპოციზიის წინასაარჩევნო აქტივობას.

21.10.20 – ზუგდიდში საქართველოს ბანკზე მომხდარი თავდასხმის დროს „იმედმა“ საგანგებო ვითარების პირობებში იმუშავა, ახალ ინფორმაციას მაყურებელს დროულად და თანმიმდევრულად გადასცემდა, ცდილობდა მაყურებლისთვის გადამოწმებული ინფორმაცია მიეწოდებინა და ფრთხილი იყო შეფასებებში, იცავდა შსს–ს მოთხოვნას მაუწყებლების მიმართ.

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემები - გადაცემაში **„ნამდვილი რიცხვები“** მონაწილეობდნენ – „ქართული ოცნება“ (ოთხჯერ), გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“ (ერთხელ), საქართველოს მთავრობა (სამჯერ), აჭარის მთავრობა (ერთხელ), საქართველოს პრეზიდენტი (ერთხელ).

„ნამდვილი რიცხვების“ 29 ოქტომბრის გადაცემის ნახევარზე მეტი (51 წთ) „ქართული ოცნების“ შესახებ გადაღებულ ფილმს დაეთმო. გადაცემის მეორე ნაწილში სტუმრად სტუდიაში მამუკა მდინარაძე იყო მიწვეული, სადაც წამყვანი მმართველი ძალის მიმართ ღია პოზიტიურ დამოკიდებულებას ავლენდა: „ჩვენ ვნახეთ ფილმი, რომელიც სხვადასხვა მიმართლებით განხორციელებულ პროექტებს ასახავს და მართლაც შთამბეჭდავია ის, თუ რა გაკეთდა ამ რვა წელიწადში. მე ვფიქრობ, რომ ამომრჩეველმა ამომწურავი ინფორმაცია მიიღო იმასთან დაკავშირებით, თუ რა კეთდებოდა, რა კეთდება და რა გაკეთდება მომავალში. მე არ მაქვს ილუზია, რომ ამომრჩევლის 100% ადეკვატურად აღიქვავს განხორციელებულ პროექტებს, ძვრები გვაქვს პოზიტიური უკლებლივ ყველა მიმართლებით.“

გადაცემაში **„არენა“** მონაწილეობდნენ – ადგილობრივი მთავრობა (ერთხელ), „ქართული ოცნება“ (სამჯერ), აჭარის მთავრობა (ერთხელ), საქართველოს მთავრობა (ერთხელ), გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“ (ორჯერ), „ქართული დასი“ (ერთხელ), „თავისუფალი საქართველო“ (ერთხელ), „ევროპული საქართველო (ორჯერ), „სტრატეგია აღმაშენებლი“ (ერთხელ), „პატრიოტთა ალიანსი“ (ერთხელ).

გადაცემაში **„პოზიცია“** მონაწილეობდნენ – „ქართული ოცნება“ (ოთხჯერ), საქართველოს მთვრობა (სამჯერ), გაერთიანებული ოპოციზია (სამჯერ), „ქართული დასი“ (ერთხელ), „ევროპული საქართველო“ (ერთხელ).

საანგარიშო პერიოდში 29 ოქტომბრის გადაცემა **„პოზიციაში“** წამყვანმა გურამ ნიკოლაიშვილმა დამშვიდობებამდე ამომრჩევლის მიმართ პირდაპირი მოწოდება გააკეთა: „კიდევ ერთხელ მოგიწოდებთ მოხვიდეთ არჩევნებზე, რაც შეიძლება ბევრმა გამოხატოთ თქვენი არჩევანი, არ მისცეთ ხმა „ნაციონალურ მოძრაობას“, დანარჩენი არჩევანი გააკეთეთ, მენიუ და ჩამონათვალი დიდია.“

გადაცემა **„ნამდვილ რიცხვებში“**, ისევე, როგორც გადაცემა **„პოზიციაში“** ადგილი ჰქონდა რესპოდენტების/სტუმრების მხრიდან სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევებს, რაზეც გადაცემის წამყვანებს რეაქცია არ ჰქონიათ. მაგალითად, 27 ოქტომბრის გადაცემაში ჩაერთო სტუმარი, რომლის გამონათქვამებშიც მრავლად იყო სიძულვილი ენა და გინება, მაგრამ გადაცემის წამყვანს ის არ გაუჩერებია და კორექტულობისაკენ არ მოუწოდებია. ჩართვის დასრულების შემდეგ შეფასება არ ყოფილა, გამოყენებული. იყო მხოლოდ ერთი ეპითეტი - „ემოციური გამოსვლა“ (23:11) „რომ მოდის ნინო ბურჯანაძე გაპუტულ ფარშევანგს რომ ჰგავს. რომ გამოდის ზურა ნოღაიდელი და თვალებს აფახუნებს, რაზე აწერდა ხელს. ერთი სული მაქვს, რომ ვაგინო მკვდარი და ცოცხალი ყველას, ვინც ამის ღირსია. ეს გამყიდველები. მე პირდაპირ ვაცხადებ, რომ პირადად ჩავუდგები სათავეში იმას, რომ ეს დამპალი საზიზღარი მასმედია, ეს გასიებული „ბოზები“ მაგათი შექმნილია ეს ყველაფერი. გასაგები იქნება მაშინ, როცა მე მაგ „ნაბოზრებს“ ჩამოვუვლი თავიდან ბოლომდე“.

საანგარიშო პერიოდში არხზე საარჩევნო დებატები არ გასულა. გენდერული ნიშნით დისკრიმინაციისა და გენდერული სტეროტიპების შემცველი განცხადებები, ასევე ქსენოფობიური განცხადებები არ შეინიშნებოდა.

საანგარიშო პერიოდში ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში, გარდა ზემოთ ხსენებულისა გავიდა შემდეგი საზოგადოებრივ–პოლიტიკური გადაცემები და გასართობი შოუები, რომლებშიც სტუმრად მეტწილად მოწვეული იყვნენ მმართველი გუნდის წარმომადგენლები.

იმედის კვირა – „ქართული ოცნება“ (ოთხჯერ), გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“ (ოთხჯერ), „ევროპული საქართველო“ (ოთხჯერ), საქართველოს მთავრობა (ოთხჯერ), „ლელო“ (ორჯერ), ადგილობრივი მთავრობა (ერთხელ), „ქართული დასი“ (ერთხელ) „თავისუფალი საქართველო“ (ერთხელ), „სტრატეგია აღმაშენებელი“ (სამჯერ), „ქართული მარში“ (ერთხელ), „მოქალაქეები“ (ერთხელ), „ქართული დასი“ (ერთხელ).

ქრონიკა 20:00-ზე თეა სიჭინავასთან ერთად – „ქართული ოცნება“ (ცხრაჯერ), „ლელო“ (ორჯერ), საქართველოს მთავრობა (ოთხჯერ), „ევროპული საქართველო“ (ორჯერ), გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“ (სამჯერ), „ლეიბორისტული პარტია“ (ერთხელ), „გირჩი“ (ერთხელ), ადგილობრივი მთავრობა (ერთხელ).

„ღია ეთერი“ – „ქართული ოცნება“ (ოთხჯერ), საქართველოს მთავრობა (სამჯერ), ადგილობრივი მთავრობა (ერთხელ), გაერთიანებული ოპოზიცია“ძალა ერთობაშია“ (ხუთჯერ), „ევროპული საქართველო“ (სამჯერ), „ქართული დასი“ (ერთხელ), ქართული მარში (ერთხელ), „სტრატეგია აღმაშენებლი“ (ორჯერ), „გირჩი“ (ერთხელ), „ლეიბორისტული პარტია“ (ეთხელ), „ერთიანი საქართველოს დემოკრატიული მოძრაობა“(ერთხელ), „ლელო“(ერთხელ).

„არჩევნები 2020“ – გადაცემა 31 ოქტომბერს გავიდა. „ქართული ოცნება“ (ერთხელ), საქართველოს მთავრობა (ერთხელ), აჭარის მთავრობა (ერთხელ), გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“ (ერთხელ).

დღის ქრონიკა – „ქართული ოცნება“ (ოთხჯერ), „თავისუფალი საქართველო“ (ერთხელ), მთავრობა (ორჯერ), ადგილობრივი მთავრობა (ერთხელ).

ბიზნესი იმედზე – „ქართული ოცნება“ (სამჯერ), საქართველოს მთავრობა (სამჯერ) „ევროპული საქართველო: (ერთხელ), „ლელო“ (ერთხელ).

დილის შოუ – „ქართული ოცნება“ (ერთხელ).

ვასმედია – გაერთიანებული ოპოციზია“ძალა ერთობაშია“ (სამჯერ), „სტრატეგია აღმაშენებელი“ (სამჯერ), „ევროპული საქართველო“ (ორჯერ), „გირჩი“ (ერთხელ) „ლეიბორისტული პარტია“ (ორჯერ), „მოქალაქეები“ (ერთხელ), „პატრიოტთა ალიანსი“ (ერთხელ), „ერთიანი საქართველო – დემოკრატიული მოძრაობა.“ (ერთხელ).

იმედის დილა – „ქართული ოცნება“ (ორჯერ).

იმედის დღე – „ქართული ოცნება“ (ორჯერ).

კულინარიული დუელი – „ქართული ოცნება“ (ორჯერ).

პრაიმშოუ – „ქართული ოცნება“ (ერთხელ).

რა დროს ძილია – „ქართული ოცნება“ (ორჯერ).

სპორტი იმედზე – „ქართული ოცნება“ (ორჯერ).

ღამის შოუ გიორგი გაბუნიასთან ერთად – „ქართული ოცნება“ (ოთხჯერ).

ჩვენი შოუ – „ქართული ოცნება“ (ორჯერ).

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, „იმედის“ თვითრეგულირების მექანიზმში მაუწყებლის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არც ერთი საჩივარი შესულა.


იმედი
47.4%
21.8%
17.5%
4.3%
1.6%
0.9%
0.8%
0.8%
4.9%
ქართული ოცნება
საქართველოს მთავრობა
გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია"
ევროპული საქართველო
ადგილობრივი მთავრობა
ქართული მარში
სტრატეგია აღმაშენებელი
ქართული დასი
სხვა


პირდაპირი და ირიბი გაშუქება
ირიბი
პირდაპირი
სტრატეგია აღმაშენებელი 73% 27%
ქართული დასი 45% 55%
ქართული მარში 56% 44%
ევროპული საქართველო 75% 25%
გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია" 91% 9%
ქართული ოცნება 32% 68%
ადგილობრივი მთავრობა 43% 57%
საქართველოს მთავრობა 42% 58%


ტონი
ნეგატიური
ნეიტრალური
პოზიტიური
33%
65%
2%
64%
35%
1%
64%
35%
1%
16%
84%
39%
61%
100%
50%
50%
88%
12%
საქართველოს მთავრობა
ადგილობრივი მთავრობა
ქართული ოცნება
გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია"
ევროპული საქართველო
ქართული დასი
ქართული მარში
სტრატეგია აღმაშენებელი


პოზიტიური და ნეგატიური გაშუქება
პოზიტიური
ნეგატიური
33%
64%
64%
2%
1%
1%
84%
61%
50%
12%
საქართველოს მთავრობა
ადგილობრივი მთავრობა
ქართული ოცნება
გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია"
ევროპული საქართველო
ქართული მარში
სტრატეგია აღმაშენებელი


გენდერი
13%
87%
ქალი
კაცი

შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“

ახალი ამბები - მონიტორინგს დაქვემდებარებული სუბიექტებისთვის დათმობილი დრო: ქართული ოცნება - 31.1% (პოზიტიური - 31%, ნეგატიური - 12%), გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“ – 15.8% (პოზიტიური - 17%, ნეგატიური - 17%), საქართველოს მთავრობა - 13.2% (პოზიტიური - 15%, ნეგატიური - 5%), ხოლო ყველა დანარჩენი სუბიექტი 10%–ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

ხარისხობრივი შეფასება - მეორე საანგარიშო პერიოდში „კურიერი“ განაგრძობდა მიმდინარე მოვლენების ეთიკური სტანდარტების დაცვით გაშუქებას. საინფორმაციო გამოშვებაში საარჩევნო სუბიექტები მეტწილად ნეიტრალურად შუქდებოდნენ, დაცული იყო ბალანსი. თუმცა იყო შემთხვევა, როდესაც ჟურნალისტმა ოპოზიციის წარმომადგენლების მიმართ ირონიული განწყობა დააფიქსირა:

მაგალითად, 19 ოქტომბერს წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქებისას, წამყვანმა „სტრატეგია აღმაშენებლის“ ლიდერს, გიორგი ვაშაძეს, აქტივობის სიხშირე დაუწუნა. „კვლავ ზომაზე მეტად აქტიურობს „სტრატეგია აღმაშენებლის“ ლიდერი, რომელმაც უკვე არჩევნების შემდგომ პირველი 30 დღის სამუშაო გეგმა წარადგინა“.

ნეგატიური დამოკიდებულება დაფიქსირდა ოპოზიციის მიმართ 13 ოქტომბრის სიუჟეტში - „დარღვეული პოლიტიკური ზავი“. წამყვანმა აღნიშნა: „ამასობაში კი იმ ხელისუფლების წარმომადგენლები, რომლის მმართველობის პერიოდსაც უკავშირდება გარეჯის სკანდალი, ხელისუფლებაში დასაბრუნებლად ერთმანეთთან დაპირისპირებით იბრძვიან. ერთი ყოფილი სახელისუფლებო პარტიის ორი წარმონაქმნი, ორი ოპოზიციური საარჩევნო სუბიექტი, მეორე დღეა ერთმანეთს აკრიტიკებს. ევროპული საქართველო და ნაციონალური მოძრაობა - დავა დღესაც გრძელდება“.

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემები - საანგარიშო პერიოდში **„დღის კურიერს“** სტუმრობდნენ: „ქართული ოცნება“ (ოცდასამჯერ), „ლელო“ (თექვსმეტჯერ), „ევროპული საქართველო“ (თხუთმეტჯერ), გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“ (თოთხმეტჯერ), „ჩვენი საქართველო - სოლიდარობის ალიანსი“ (თერთმეტჯერ), საქართველოს მთავრობა (ცხრაჯერ), „სტრატეგია აღმაშენებელი“ (ექვსჯერ), „თავისუფალი საქართველო“ (ხუთჯერ), „ანა დოლიძე - მოძრაობა ხალხისთვის“ (ოთხჯერ), „გირჩი“ (სამჯერ), „დავით ჭიჭინაძე - ტრიბუნა“ (სამჯერ), „ერთიანი საქართველო“ (ორჯერ), „თავისუფალი დემოკრატები“ (ორჯერ), „ალეკო ელისაშვილი - მოქალაქეები“ (ორჯერ), „კონსერვატიული პარტია“ (ორჯერ), „პატრიოტთა ალიანსი“ (ორჯერ), „გამარჯვებული საქართველო“ (ერთხელ), „მწვანეთა პარტია“ (ერთხელ), „რეფორმერები“ (ერთხელ), „ეკა ბესელია - სამართლიანობისთვის“ (ერთხელ), „ქართული დასი“ (ერთხელ), დამოუკიდებელი კანდიდატი, ბიძინა გეგიძე (ერთხელ).

„ღამის კურიერის“ ეთერში ვიხილეთ მონიტორინგს დაქვემდებარებული შემდეგი სუბიექტები: „ლელო“ (სამჯერ), „ქართული ოცნება“ (ორჯერ), „ევროპული საქართველო“ (ორჯერ), „სტრატეგია აღმაშენებელი“ (ორჯერ), „ერთიანი საქართველო“ (ორჯერ), გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“ (ერთხელ), „გირჩი“ (ერთხელ), „კონსერვატიული პარტია“ (ერთხელ), „ლეიბორისტული პარტია“ (ერთხელ), „ალეკო ელისაშვილი - მოქალაქეები“ (ერთხელ), „ანა დოლიძე - მოძრაობა ხალხისთვის“ (ერთხელ), „პატრიოტთა ალიანსი“ (ერთხელ), საქართველოს პრეზიდენტი (ერთხელ).

საანგარიშო პერიოდში **„დღის კურიერში“** საეთერო დროის ნაწილი თბილისის მაჟორიტარობის კანდიდატების წინასაარჩევნო აქტივობებს და პარტიულ პრეზენტაციებს ეთმობოდა.

შეკითხვები ყველა საარჩევნო სუბიექტთან სტანდარტული იყო: რა დაპირებები აქვს პარტიას, როგორ აპირებს მათ განხორციელებას, როგორ აფასებთ თქვენი პარტიის სიას?

მეორე საანგარიშო პერიოდში **„ღამის კურიერმა“** ფორმატი შეიცვალა და ის მთლიანად პარტიულ პრეზენტაციებს ეთმობოდა. გადაცემას პოლიტიკური გუნდის ლიდერები ორ თანაპარტიელთან ერთად სტუმრობდნენ. გადაცემა სამ წამყვანს მიჰყავდა, რომლებიც რესპოდენტებს სხვა და სხვა თემატიკაზე უსვამდნენ შეკითხვებს.

გადაცემის წამყვანები გაცნობილნი იყვნენ საარჩევნო პროგრამებს, საჭირო დოკუმენტაციასა და სტატისტიკას, სვამდნენ რელევანტურ შეკითხვებს, რაც მაყურებელს შესაძლებლობას აძლევდა მიეღოთ ინფორმაცია როგორც წინასაარჩევნო პროგრამებზე, ასევე მათი განხორციელების გზებსა და რესურსებზე. გადაცემა მთლიანობაში ხელს უწყობდა ინფორმირებული არჩევანის გაკეთებას.

თოქ-შოუს წამყვანი სუბიექტის წარდგენას სტუმრად მიწვეული პოლიტიკური ძალის წარსულის გახსენებით იწყებდა. როგორც წამყვანმა პირველ გადაცემაში აღნიშნა, ეს მაყურებელს კონტექსტის გააზრებაში უნდა დახმარებოდა: „ვინ იძლევა დაპირებას, როგორ მოვიდნენ დღევანდელ დღემდე“. 27 ოქტომბერს მმართველი გუნდის სტუმრობა გამონაკლისი შემთხვევა იყო, რადგან გადაცემა პოლიტიკურ წარსულზე საუბრით აღარ დაწყებულა. გადაცემის წამყვანმა აღნიშნა, რომ ხელისუფლება აწმყოზეა პირველ რიგში პასუხისმგებელი და კითხვა რესპონდენტს „გაქცეულ ტერორისტთან“ დაკავშირებით დაუსვა.

წამყვანები ყოველთვის ემიჯნებოდნენ სტუმრების დისკრიმინაციულ განცხადებებს და მიუთითებდნენ მათ ამის შესახებ.

მაგალითად, 2 ოქტომბერს „ერთიანი საქართველოს“ ლიდერმა, ნინო ბურჯანაძემ, ერთ-ერთ წამყვანს უთხრა: „მეტყველება მე კარგი მაქვს და რასაც ვამბობ, როგორც წესი, იგებენ ხოლმე,

რა ვიცი ახლა, სოფლებში იგებენ და თქვენ ინგლისში ნამუშევარს და საქართველოს ტელევიზიაში ნამუშევარ ადამიანს, რატომ არ გესმით“?

ჟურნალისტს არ გამორჩენია ეს ფრაზა და რესპონდენტს უთხრა: „ჩვენი სოფლის მოსახლეობას ნამდვილად არ აქვს აღქმის, ლაპარაკის, სიტყვების, დაპირებების გაგების პრობლემა... ამ გადაცემას უყურებს ჩვენი ის მოსახლეობა, რომელიც ცხოვრობს სოფელში და არ მინდა ეს განსხვავება რაღაცნაირად ამ ეთერიდან გაჟღერდეს“.

6 ოქტომბერს „ლეიბორისტული პარტიის“ ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა კი „ღამის კურიერში“ განაცხადა: „სამმა დედალმა ქოცმა მიჩივლა, იმის თაობაზე იღებდნენ კანონს, ცოლმა უჩივლა ქმარს, რომ ერთი წლის წინ მას ეძინებოდა და ღამე შეაწუხა, დაიჭერდნენ გაუპატიურებაზე, ამაზე გავაკეთე განცხადება, რომ ერი, სადაც შობადობა არ არის, სადაც ქორწინება არ არის, ითხოვს დემოგრაფიის ხელშეწყობას, გამრავლებას, დახმარებას, მხარდაჭერას და არა სისხლის სამართლის კოდექსის ლოგინში შედებას, ამაზე მიჩივლა სამმა ქოცმა აქტივისტმა, დედალმა“. წამყვანს ჰქონდა შესაბამისი რეაქცია რესპონდენტის ამ განცხადებაზე და სტუმარს მიუთითა ქალების მიმართ არსებული სტერეოტიპების გაძლიერების დაუშვებლობაზე.

დაფიქსირდა შემთხვევა, როცა წამყვანი თავად იყო არაკორექტული რესპონდენტის მიმართ:

„ხვალ შეგიძლიათ ნახოთ ჩვენი გადაცემის ჩანაწერი და თქვენი სახის ფერი მე რატომღაც მეუბნება, რომ ღიზიანდებით. რაღაცნაირად შეწითლდით…“, - უთხრა წამყვანმა „ერთიანი საქართველოს“ ლიდერს, ნინო ბურჯანაძეს. ამან რესპონდენტის გაღიზიანებაც გამოიწვია, რის გამოც წამყვანმა ბოდიშიც მოიხადა.

31 ოქტომბერს, არჩევნების დღეს, ღამის კურიერის სპეციალური გამოშვება გავიდა ეთერში. წამყვანი პარტიის ლიდერებთან, ანალიტიკოსებთან და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან ერთად პერიოდულად უერთდებოდა დღის მთავარი სიანფორმაციო გამოშვების სტუდიას.

აღსანიშნავია, რომ წამყვანი კრიტიკული იყო მმართველი გუნდის მიმართ არჩევნების დღესაც და როცა უმრავლესობის ერთ-ერთმა ლიდერმა, არჩილ თალაკვაძემ, თქვა, რომ მისმა გუნდმა შეძლო „ფუნდამენტური დემოკრატიული რეფორმების ჩატარება, რომელმაც უზრუნველყო არსებითად პროპორციული სისტემით თავისუფალი და დემოკრატიული არჩევნების ჩატარება“, წამყვანმა მას უთხრა: „მაყურებელს, ასევე, შევახსენოთ, რომ ასეთი მოდელით არჩევნების ჩატარება მოხერხდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ოპოზიციური ფრონტი საერთაშორისო პარტნიორებთან ერად დასხდა და მოითხოვა თქვენგან იმ დანაპირების

შესრულება, რომლებიც „მეამბოხე“ დეპუტატების გამო, როგორც თქვენ მაშინ აცხადებდით, „ქართულმა ოცნებამ“ ჩააგდო“.

გასართობი გადაცემები - საანგარიშო პერიოდში საარჩევნო სუბიექტები გასართობ გადაცემებსაც სტუმრობდნენ.

„ნიკა არაბიძის შოუში“ მოწვეულები იყვნენ: „ქართული ოცნება“ (ერთხელ), „კონსერვატიული პარტია“ (ერთხელ), „ლელო“ (ერთხელ), „ანა დოლიძე - მოძრაობა ხალხისთვის“ (ერთხელ).

„მენტალურ ომებში“ ვიხილეთ: „გირჩის“ (ერთი), „ქართული იდეის“ (ერთი), „ერთიანი საქართველოს“ (ერთი) წარმომადგენლები და ერთი დამოუკიდებელი კანდიდატი, თამარ მაყაშვილი.

„პროფილში“ მაყურებელმა ნახა: „ევროპული საქართველოს“ (ერთხელ), „სტრატეგია აღმაშენებლის (ერთხელ), ალეკო ელისაშვილი - მოქალაქეებისა“ (ერთხელ) და „ეკა ბესელია - სამართლიანობისთვის“ (ერთხელ) წარმომადგენლები.

მოწვეულები იყვნე**„ფარულ კონვერტში“** ნ: „ანა დოლიძე - მოძრაობა ხალხისთვის“ (ერთხელ), „კონსერვატიული პარტია“ (ერთხელ).

„დილა მშვიდობისა, საქართველოს“ მონიტორინგს დაქვემდებარებული ერთი სუბიექტი სტუმრობდა „ქართული ოცნებიდან“.

„ანეკდოტების შოუს“ ერთი დამოუკიდებელი კანდიდატი, თამარ მაყაშვილი, ეწვია.

„დიდი ამბავი“ „გირჩის“ წარმომადგენელს მასპინძლობდა (ერთხელ).

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, „რუსთავი 2“–ის თვითრეგულირების მექანიზმში მაუწყებლის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არც ერთი საჩივარი შესულა.


რუსთავი 2
31.1%
15.8%
13.2%
9.4%
6.1%
5.1%
3.1%
2.5%
2.4%
2.3%
2.2%
2.1%
1.5%
3.2%
ქართული ოცნება
გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია"
საქართველოს მთავრობა
ევროპული საქართველო
ლელო
სტრატეგია აღმაშენებელი
პატრიოტთა ალიანსი
გირჩი
ლეიბორისტული პარტია
ალეკო ელისაშვილი - მოქალაქეები
დემოკრატიული მოძრაობა
ადგილობრივი მთავრობა
ჩვენი საქართველო - სოლიდარობის ალიანსი
სხვა


პირდაპირი და ირიბი გაშუქება
ირიბი
პირდაპირი
ჩვენი საქართველო - სოლიდარობის ალიანსი 19% 81%
დემოკრატიული მოძრაობა 40% 60%
ალეკო ელისაშვილი - მოქალაქეები 31% 69%
გირჩი 43% 57%
სტრატეგია აღმაშენებელი 44% 56%
ლელო 41% 59%
ლეიბორისტული პარტია 55% 45%
პატრიოტთა ალიანსი 42% 58%
ევროპული საქართველო 46% 54%
გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია" 59% 41%
ქართული ოცნება 50% 50%
ადგილობრივი მთავრობა 56% 44%
საქართველოს მთავრობა 59% 41%


ტონი
ნეგატიური
ნეიტრალური
პოზიტიური
15%
79%
5%
19%
52%
30%
31%
57%
12%
17%
66%
17%
12%
82%
7%
8%
84%
8%
30%
69%
1%
30%
68%
2%
30%
64%
5%
29%
71%
18%
82%
31%
67%
2%
15%
85%
სექრეტარის მთავრობა
ადგილობრივი მთავრობა
ქართული ოცნება
გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია"
ევროპული სექრეტარიატი
პატრიოტთა ალიანსი
ლეიბორისტული პარტია
ლელო
სტრატეგია აღმაშენებელი
გირჩი
ალიკო ელისაშვილი - მოქალაქეები
დემოკრატიული მოძრაობა
ჩვენი საქართველო - სოლიდარობის ალიანსი


პოზიტიური და ნეგატიური გაშუქება
პოზიტიური
ნეგატიური
15%
5%
19%
30%
31%
12%
17%
17%
12%
7%
8%
8%
30%
1%
30%
2%
30%
5%
29%
18%
31%
2%
15%
საქართველოს მთავრობა
ადგილობრივი მთავრობა
ქართული ოცნება
გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია"
ევროპული საქართველო
პატრიოტთა ალიანსი
ლეიბორისტული პარტია
ლელო
სტრატეგია აღმაშენებელი
გირჩი
ალიანსი ელისაშვილი - მოქალაქეები
დემოკრატიული მოძრაობა
ჩვენი საქართველო - სოლიდარობის ალიანსი


გენდერი
15%
85%
ქალი
კაცი

შპს „ტელეკომპანია პირველი“

ახალი ამბები - მონიტორინგს დაქვემდებარებული სუბიექტებისთვის დათმობილი დრო: ქართული ოცნება - 37% (პოზიტიური - 14%, ნეგატიური - 49%), გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“ – 19.6% (პოზიტიური - 6%, ნეგატიური - 22%), საქართველოს მთავრობა - 18.9% (პოზიტიური - 2%, ნეგატიური - 38%), ხოლო ყველა დანარჩენი სუბიექტი 10%–ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

ხარისხობრივი შეფასება - საანგარიშო პერიოდში „ტელეკომპანია პირველის“ მთავარ საინფორმაციო გამოშვებებსა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გადაცემებზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ არხი მიკერძოებულად აშუქებდა სხვა და სხვა საარჩევნო სუბიექტების წინასაარჩევნო კამპანიას. ის მკვეთრად ნეგატიურ დამოკიდებულებას გამოხატავდა მთავრობის საქმიანობის და „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქებისას. წამყვანების მხრიდან ადგილი ჰქონდა საკუთარი შეხედულებების რეალობად წარმოჩენის მცდელობას, რაც ხშირ შემთხვევაში ფაქტებით და მტკიცებულებებით არ იყო გამყარებული.

პოლიტიკური პარტიების წინასაარჩევნო აქტივობები ძირითადად შუქდებოდა ყრილობის ან კანდიდატების წარდგენის პირდაპირ ეთერში ჩართვით. უშუალოდ კანდიდატთა მოსახლეობასთან შეხვედრებს, კანდიდატების წარდგენას და, ზოგადად, სხვა და სხვა საარჩევნო თემატიკას მთავარ გამოშვებაში ფრაგმენტულად ეთმობოდა დრო. უცვლელი დარჩა არხის შერჩევითი მიდგომა არჩევნებში მონაწილე პარტიების წინასარჩევნო აქტივობის გაშუქებისას, რაც თავის მხრივ, ხელს უშლიდა ამომრჩეველს ინფორმირებული და გააზრებული არჩევანის გაკეთებაში.

საანგარიშო პერიოდში კოვიდ 19-თან დაკავშირებული მოვლენები მკვეთრად ნეგატიური ტონით შუქდებოდა, აქცენტი კეთდებოდა ხელისუფლების არასწორ გადაწყვეტილებებზე, აღნიშნული არ ემსახურებოდა მოსახლეობის ინფორმირებას ეპიდემიურ სიტუაციასთან დაკავშირებით. მომზადებულ მასალებში ექსპერტულ შეფასებებს ძირითადად ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები აკეთებდნენ. აღსანიშნავია, რომ ჯანდაცვის სფეროში არსებული მდგომარეობა არხის მხრიდან შუქდებოდა მხოლოდ უიმედო პროგნოზებით, რაც მოსახლეობაში პანიკის დათესვას შეიძლება უწყობდეს ხელს.

მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში სიუჟეტების ცალმხრივად გაშუქების ტენდენცია, ფაქტობრივად, ნორმად იქცა, თუმცა არხი ამის მიზეზად ქართული ოცნების ბოიკოტს ასახელებდა.

ტვ პირველის მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში 2 ოქტომბერს, 20:31 საათზე გასულ სიუჟეტში - „ოპოზიციის დევნა - ოქრიაშვილის ჩამოხსნილი ბანერები“ - ითქვა, რომ ბოლნისში

გაერთიანებული ოპოზიციის კანდიდატის, კახა ოქრიაშვილის სარეკლამო ბანერები მერიის წარმომადგენლებმა ჩამოხიეს, თუმცა მერიის მხრიდან საპასუხო კომენტარი წარმოდგენილი არ ყოფილა.

4 ოქტომბერს, 20:12 საათზე გავიდა სიუჟეტი „ძალადობა ბოლნისში - ერთი დაკავებული“. ჟურნალისტის განცხადებით, „სასამართლოს განჩინების და დაკავების ოქმის გარეშე სურდათ სამართალდამცველებს კიდევ ერთი ოპოზიციონერის დაკავება. არიფ უსუფოვს სოფელ ნახიდურში სამოქალაქო ფორმაში ჩაცმული 6 პოლიციელი სახლში ესტუმრა, მაგრამ მამაკაცი გომელაურის უწყების თანამშრომლებს ადგილობრივებმა არ გაატანეს...“ ამავე სიუჟეტში ოპოზიცია ძალადობაში „ქართულ ოცნებას“ ადანაშაულებდა, შინაგან საქმეთა სამინისტროს და ქართული ოცნების პოზიციები არ გასულა.

ტვ პირველის მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში ვხვდებოდით ყალბი ახალი ამბების და მანიპულაციის შემთხვევებს. ხელისუფლების და ქართული ოცნების მისამართით გაკეთებული ბრალდებები ჟურნალისტების მხრიდან გამოთქმულ ეჭვებსა და ვარაუდებზე იყო აგებული და არ ეფუძნებოდა მტკიცებულებებს.

02 ოქტომბერს, 20:15 საათზე გავიდა სიუჟეტი „25 მლნ. ახალ მანქანებში“.

„...ადამიანები გაღატაკების ზღვარზე არიან, მთავრობა კი ფუფუნებაზე უარს ისევ არ ამბობს. მალე ქვეყანაში 300-ზე მეტი ახალი, ძვირადღირებული თეთრი ფერის ავტომობილი გაჩნდება. მთავრობამ ეკონომიკური კრიზისის დროს ავტოპარკის განახლება გადაწყვიტა და 25 მლნ ამისთვის ბიუჯეტიდან უკვე გამოყო. შავი ჯიპებიდან თეთრ ძვირადღირებულ ავტომობილებამდე. ყველა, ვინც სატენდერო დოკუმენტაცია შეისწავლა ამბობს, რომ სახეზეა ერთდროულად ფულის ფლანგვის და ფულის კეთების სქემა. როგორი ავტომობილები უნდა იყიდონ ამის შესახებ მონაცემები სატენდერო მოთხოვნებში მთავრობამ ისე დააზუსტა, რომ პირობები კონკრეტულ კომპანიებს მოარგო...“ სიუჟეტში არ იყო დასაბუთებული ბრალდებები სატენდერო დოკუმენტაციის კონკრეტულ კომპანიაზე მორგების შესახებ, ბრალდებები ეფუძნებოდა ვარაუდებს, ასევე სიუჟეტში მაყურებლისთვის გაუგებარი რჩებოდა რამდენად არის აღნიშნული მანქანები მთავრობის მაღალჩინოსნების კომფორტის გაუმჯობესებისთვის განკუთვნილი, მაშინ როდესაც ხელისუფლების წარმომადგენელი აღნიშნავდა, რომ ეს მანქანები სტრატეგიულ ობიექტებს უნდა მოემსახუროს და ნატოში ინტეგრაციის გზაზე სტანდარტების დასაკმაყოფილებლად იყო აუცილებელი.

20 ოქტომბრის მთავარ გამოშვებაში (20:22 საათი) სიუჟეტი „დიპლომატებისთვის გაგზავნილი ფარული ჩანაწერები“ ბიძინა ივანიშვილის რუსული კავშირებს ეხებოდა.

“...სკანდალური აუდიო ჩანაწერი, რომელიც დიპლომატების ელექტრონულ ფოსტაზე გადაიგზავნა. ჩანაწერი არის პირდაპირი მტკიცებულება ბიძინა ივანიშვილის კავშირზე კრემლის აგენტთან. ირკვევა, რომ რუს ოლიგარქებს ბიძინა ივანიშვილის გარემოცვის უახლოესი წევრი დახმარებას იგორ გიორგაძის შუამავლობით თხოვდა. ივანიშვილის ინტერესის სფერო ამ კონკრეტულ შემთხვევაში საქართველოში შვედური კომპანიის შემოყვანა იყო..."

ჟურნალისტი გავრცელებულ ჩანაწერს, რომლის ავთენტურობაც არ იყო დადგენილი, როგორც მტკიცებულება ისე წარუდგინდა მაყურებელს. ჩანაწერი იმდენად ბუნდოვანი იყო, რომ ჩნდებოდა კითხვები, თუ რატომ აწვდიდა „ტვ პირველი“ მაყურებელს მას როგორც მტკიცებულებას ივანიშვილის რუსული კავშირების დასადასტურებლად, განსაკუთრებით მაშინ, როცა ჩანაწერში მონაწილე ე.წ. „ივანიშვილის გარემოცვის უახლოესი წევრის“ ვინაობაც კი უცნობი იყო და სიუჟეტი აგებული იყო ჟურნალისტის ვარაუდებზე.

27 ოქტომბერს, 20:02 საათზე გავიდა სიუჟეტი „ფულის დარიგება ქართული ოცნების ოფისში“.

„...არჩევნებამდე 5 დღით ადრე ქართული ოცნება ფულს პირდაპირ ოფისებში არიგებს. გრძელი რიგების ექსკლუზიური კადრები დღეს პირველებმა ბოლნისში გადაიღო. თავდაპირველად ოცნების ოფისთან შეკრებილებმა დაადასტურეს, რომ ფულის ასაღებად მივიდნენ, თუმცა, შემდეგ მოვლენები დრამატული სცენარით განვითარდა. ქართული ოცნებიდან გამოვიდნენ და ფულის რიგში მდგომები გააფრთხილეს, რომ ჟურნალისტებთან რიგში დგომის რეალური მიზეზი არ ეთქვათ...“

მიუხედავად იმისა, რომ უშუალოდ ფულის დარიგების ამსახველი კადრები და მტკიცებულებები ჟურნალისტს არ წარმოუდგენია, ამას მისთვის ხელი არ შეუშლია მტკიცებით ფორმაში ესაუბრა ფულის დარიგების და ამომრჩეველთა მოსყიდვის შესახებ. რამდენჯერმე ითქვა, რომ მოქალაქეებმა ფულის აღება დაადასტურეს, თუმცა ამის ჩანაწერი არ გაუვრცელებიათ. მოქალაქეები არ ადასტურებდნენ ფულის დარიგების ფაქტს. ჟურნალისტურ მასალებში იმ მოქალაქეების კომენტარები, რომლებმაც ქართული არ იციან, ისე იყო წარმოდგენილი, თითქოს ისინი ადასტურებდნენ ფულის დარიგების ფაქტს.

კენჭისყრის დღეს „ტვ პირველი“ მაყურებელს უწყვეტ რეჟიმში აწვდიდა ქვეყნის მასშტაბით არჩევნების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციას. განსაკუთრებული სიხშირით შუქდებოდა ინფორმაციები დარღვევების შესახებ, პირდაპირ ეთერში გადაიცემოდა დაპირისპირების ამსახველი კადრები, თუმცა ზოგჯერ ადგილი ქონდა მაყურებლისთვის ისეთი ინფორმაციის მიწოდების შემთხვევებსაც, როცა ინფორმაციის უტყუარობა ეჭვქვეშ დგებოდა.

არჩევნების დღეს „ტვ პირველი“ ავრცელებდა ინფორმაციას როგორ არიგებდნენ ფულს მანქანებიდან „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები, თუმცა ბრალდებები ხშირ შემთხვევაში მხოლოდ ჟურნალისტის ვარაუდებს და ოპოზიციური პარტიების განცხადებებს ეფუძნებოდა, შეინიშნებოდა მანიპულაციის მცდელობაც, ამომრჩეველთა მოსყიდვის შესახებ გავრცელებული ინფორმაცია ფაქტებს არ ეყრდნობოდა.

„...რა ღირდა „ქართული ოცნების“ 1 ხმა? დღეს, პირველად დადასტურებულად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამომრჩეველს ხელზე უხდიდნენ ფულს იმისთვის, რომ მათ საარჩევნო უბანზე 41 ნომერი შემოეხაზათ. 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები ფულის ტოტალური დარიგებით გამორჩეული არჩევნებია. ეს ქალბატონი „ქართული ოცნების“ კოორდინატორია, ის ზუგდიდის მე-4 საარჩევნო უბანთან დგას და ხელში ფული უჭირავს. ვიდეომასალის დეტალურად გაშიფვრისას შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ფულის ნაწილს კოორდინატორი საარჩევნო უბანთან გაჩერებულ ავტომობილში მყოფ პირებს გადასცემს. „ტვ პირველის“ გამოჩენისთანავე და კითხვების დასმის შემდეგ ტოიოტას მარკის ავტომობილი ტერიტორიას სწრაფი სვლით ტოვებს“.

სიუჟეტში გამოყენებული მასალები აჩენს კითხვებს და ქმნის შთაბეჭდილებას, რომ ჟურნალისტის მხრიდან ადგილი აქვს მანიპულაციას. კადრებში არსად ჩანს მანქანაში უშუალოდ ფულის გადაცემის ფაქტი, ამასთან მანქანა, რომელშიც ჟურნალისტმა მისივე ინფორმაციით ფულის გადაცემის ფაქტი დააფიქსირა იყო „ჰონდას“ მარკის ავტომობილი, ხოლო დაფიქსირებული „გაქცეული“ ავტომობილი „ტოიტოს“ მარკის. ამ ორ ავტომობილს მხოლოდ წითელი ფერი აკავშირდებდა.

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემები - „ტვ პირველი“ გამოირჩევა საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემების განსაკუთრებული მრავალფეროვნებით, თუმცა, ამის მიუხედავად, გადაცემებში ნაკლებად ხდებოდა ანალიტიკური და წინასაარჩევნო თემატიკის დისკუსიების წარმართვა. გადაცემებში ძირითადი დრო ხელისუფლების და „ქართული ოცნების“ კრიტიკას ეთმობოდა და არა პოლიტიკური პარტიების საარჩევნო პროგრამების შინაარსობრივ განხილვას. ამომრჩეველი ამჯერადაც მხოლოდ პოლიტიკოსების ზოგადი ხასიათის დაპირებებს ისმენდა, დამოუკიდებელი ექსპერტების მონაწილეობის უზრუნველყოფა გადაცემებში არ მომხდარა, საზოგადოებას არ ქონდა შესაძლებლობა მოესმინა ანალიზი თუ რამდენად შესრულებადია კანდიდატების მიერ გაცემული დაპირებები, ეს კი თავის მხრივ, ხელს უშლის ამომრჩეველს მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია და კენჭისყრის დღეს ინფორმირებული არჩევანი გააკეთოს.

საანგარიშო პერიოდში საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გადაცემებში „ქართულ ოცნებას“ მონაწილეობა არ მიუღია, არხის განმარტებით ამის მიზეზი მათი მხრიდან გამოცხადებული

ბოიკოტი იყო. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ არხი საეთერო დროის უმეტეს ნაწილს უთმობდა გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშიას“ და „ევროპული საქართველოს“ კანდიდატებს, შედარებით მცირე დრო ეთმობოდა „ლელოს“, „გირჩს“ და „სტრატეგია აღმაშენებელს“.

საავტორო გადაცემების წამყვანები ხშირ შემთხვევაში ვერ ახერხებდნენ შეენარჩუნებინათ მიუკერძოებლობა და გამოხატავდნენ პოლიტიკურ განწყობებს. წამყვანების პათოსი ხშირად ემთხვეოდა ოპოზიციური პარტიების წარმომადგენელთა შეხედულებებს, რაც კრიტიკული დისკუსიის და თემების სიღრმისეულად მიმოხილვის ნაცვლად, ჟურნალისტსა და რესპოდენტებს შორის იწვევდა აზრთა თანხვედრას. ხელისუფლებისადმი ნეგატიურად განწყობილ რესპოდენტებს წამყვანები აძლევდნენ შესაძლებლობას კონკრეტული მტკიცებულებების გარეშე დაედანაშაულებინათ ხელისუფლება და მმართველი პარტია.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჟურნალისტები ზოგჯერ არ მალავდნენ ლოიალურ განწყობებს და პირად სიმპათიებს ზოგიერთი კანდიდატის მიმართ. მაგალითად, 27 ოქტომბერს გასულ გადაცემაში ინგა გრიგოლიამ ნანუკა ჟორჟოლიანს ღია მხარდაჭერა კიდევ ერთხელ გამოუცხადა.

„ჩემი კოლეგა, რომელსაც მე პირდაპირი ეთერიდან მინდა ეხლა, რომ ღიად დავუჭირო მხარი, საერთოდ არ მადარდებს რა საარჩევნო ციფრით თუ რიცხვით იყრი კენჭს ამ არჩევნებში, მე მინდა, რომ შენ გისურვო გამარჯვება, მე მინდა, რომ შენ გიხილო პარლამენტში, იმიტომ რომ მე ვიცი რას გააკეთებს ნანუკა ჟორჟოლიანი პარლამენტში... და ასე ღია მხარდაჭერას გიცხადებ პირდაპირი ეთერიდან ნანუკა და იმედი მაქვს, რომ 31 ოქტომბერს შენ მოგილოცავ გამარჯვებას“ - განაცხადა ინგა გრიგოლიამ.

ინგა გრიგოლიამ პირადი სიმპათია არ დამალა ნიკა მელიას მიმართაც 29 ოქტომბერს გასულ გადაცემაში (21:13).

„მართლა მინდა გისურვოთ, რომ თქვენ გიხილოთ მე იმ პარლამენტში, რომელიც შეიკრიბება უკვე ამ არჩევნების შემდეგ. ნიკა, ისეთი „კომპარტიის ყრილობა“ ვნახეთ მაშინ აქეთ შენ როცა იჯექი მარტო, იქეთ ის, რომ გულწრფელად გეუბნები, საერთოდ არ მადარდებს რა ნომრით იყრი კენჭს, მე ამას ძალიან იშვიათად ვამბობ ხოლმე პირდაპირ ეთერში, ეს იყო გაფორმებული უსამართლობა და თქვენ გისურვებთ, რომ შეაღოთ ეს კარები და შეხვიდეთ“.

საკუთარი სიმპათიები და განწყობები ღიად გამოხატეს ეკა მიშველაძემ და ბუკა პეტრიაშვილმა გადაცემაში **„პოლიტიკური პარასკევი**“.

ეკა მიშველაძე: „ძალიან მინდა მე პირადად ვიხილო ელენე ხოშტარია პარლამენტში.“ ბუკა პეტრიაშვილი: „ვუერთდები ამ სურვილებს.“

საავტორო გადაცემების **„საჯარო პოლიტიკა“** და **„ინგა გრიგოლიას რეაქცია“** წამყვანების პირადი შეხედულებები და პოლიტიკური განწყობები კიდევ უფრო მკაფიო და დაუფარავი გახდა მას შემდეგ, რაც „ქართული ოცნების“ აღმასრულებელმა მდივანმა „ტვ პირველის“ ჟურნალისტის და „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელს შორის სატელეფონო კომუნიკაციის შესახებ გაავრცელა ინფორმაცია. ინგა გრიგოლიას მიერ 30 ოქტომბერს, გადაცემაში **„რეაქცია“** (20:51) გაკეთებული განცხადება გაცდა ჟურნალისტური ეთიკის ნორმებს და შეიცავდა სიძულვილის ენის ნიშნებს.

ინგა გრიგოლია: „...ხო გაფრთხილებდით ისე ბ-ნო კობახიძევ სულ რაღაც 1 კვირის წინ „კანალების“ ძახილს შეეშვი, თორე კანალიზაციაში ამოყოფთ თავსთქო, არ შეეშვით და იქამდე მიხვედით, რომ საკუთარი ხელისუფლებით აღფრთოვანებულმა თუ საკუთარი ძალაუფლებით აღფრთოვანებულმა თქვენივე გუნდის მთავარი საიდუმლო გაეცით, რომ ჩვენ გვისმენთ, გვითვალვალებთ, ჩვენს ტელეფონებს და სოც. ქსელებს ასხედხართ, იქამდე შეყავით თავი ამ მოსმენების, თქვენთვის საყვარელ სიტყვას გავიმეორებ, "კანალში", რომ ვეღარ გააკონტროლეთ როგორ წამოგცდათ ის, რაც არ უნდა წამოგცდენოდათ... დავცინებდი ამ საოცარ ბრიყვ ბიჭს, მაგრამ ახლა დაცინვის დრო არაა, რადგან სახეზე გვაქვს სერიოზული დანაშაული და ბრიყვი რომ ბრიყვია, ბრიყვმაც კი უნდა აგოს პასუხი ამ დანაშაულის გამომჟღავნებისას“.

გადაცემის **„პირველი ხაზი“** წამყვანები არ მალავენ უარყოფით განწყობებს ხელისუფლების და „ქართული ოცნების“ მიმართ. გადაცემაში იშვიათი გამონაკლისების გარდა არ ისმოდა განსხვავებული აზრი. ოპოზიციურ კანდიდატებს ეძლეოდათ საშუალება მათთვის დათმობილი დრო საკუთარი თავის დადებით კონტექსტში წარმოსაჩენად მაქსიმალურად გამოეყენებიათ, ჟურნალისტების მხრიდან კრიტიკული და სიღრმისეული კითხვები ნაკლებად გვხვდებოდა.

გადაცემაში **„ნოდარ მელაძის შაბათი“** მომზადებული რეპორტაჟები ძირითადად ეძღვნებოდა „ქართული ოცნების“ წევრების და ბიძინა ივანიშვილის გარემოცვის მხილების მცდელობას კორუფციაშიდა კრიმინალურ ავტორიტეტებთან კავშირში.

საქართველოს ბანკზე განხორციელებულ თავდასხმას და სპეცოპერაციას „ტვ პირველმა“ სპეცგამოშვება მიუძღვნა. უნდა აღინიშნოს, რომ სპეცოპერაციის გაშუქებისას მაუწყებლის მხრიდან ქცევის კოდექსით განსაზღვრული წესები დაცული არ ყოფილა.

„ტვ პირველის“ ჟურნალისტებმა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენეს მაუწყებელთა ქცევის კოდექსის 53-ე მუხლის მეოთხე პუნქტის მოთხოვნის შესრულების აუცილებლობა და საჭიროება. „53.4. ტერორისტის ან გამტაცებლის მოთხოვნა ან განცხადება ეთერში უნდა გადაიცეს რედაქტირებული სახით, რათა თავიდან იქნეს აცილებული მის მიერ საზოგადოებრივი აზრით

მანიპულირება". „ტვ პირველმა“ შეასრულა თავდამსხმელის მოთხოვნა და მძევალს მისცა შესაძლებლობა თავდამსხმელის დაყენებული პირობები პირდაპირ ეთერში გაევრცელებინა.

„ტვ პირველის“ სამაუწყებლო ბადე მოიცავს შემდეგ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გადაცემებს: **„ინგა გრიგოლიას რეაქცია“, „საჯარო პოლიტიკა“, „პოლიტიკური პარასკევი“, ნოდარ მელაძის შაბათი“, „პირველი ხაზი“, „დღის ამბები“.** სპეციალურად არჩევნებთან დაკავშირებით ეთერში გავიდა გადაცემა **„საარჩევნო რეაქცია“,** სადაც დებატების ფორმატის გარეშე კანდიდატებს განსაზღვრული დრო ეძლეოდათ საკუთარი პროგრამის წარდგენისთვის.

„ინგა გრიგოლიას რეაქციაში“ პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „ევროპული საქართველო“ (ცხრაჯერ), გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“ (თორმეტჯერ), „ლელო“ (შვიდჯერ), „გირჩი“ (ერთხელ), გამარჯვებული საქართველო (ორჯერ), „სტრატეგია აღმაშენებელი“ (სამჯერ), „ლეიბორისტული პარტია“ (ექვსჯერ), „დემოკრატიული მოძრაობა“ (ერთხელ), „თავისუფალი საქართველო“ (ერთხელ), ანა დოლიძე - „მოძრაობა ხალხისთვის“ (ერთხელ), „პარტია სამართლიანობისთვის“ (ორჯერ), „სოლიდარობის ალიანსი“ (სამჯერ), „ტრიბუნა“ (ორჯერ), „მოქალაქეები“ (ორჯერ), „ქართული მარში“ (ერთხელ).

ამავე გადაცემაში პოლიტიკურ პარტიებს შორის დებატები შედგა: „სოლიდარობის ალიანსის“, „სტრატეგია აღმაშენებლის“, „ევროპული საქართველოს“, „ლელოს“, გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშიას“, პ.პ. „სამართლიანობისთვის“, „ლეიბორისტული პარტიის“, ანა დოლიძე - „მოძრაობა ხალხისთვის“ წარმომადგენლებს შორის.

საანგარიშო პერიოდში გადაცემა **„საჯარო პოლიტიკას“** პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „ევროპული საქართველო“ (ხუთჯერ), გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“ (ექსვჯერ), „ლელო“ (ექვსჯერ), „გირჩი“ (ოთხჯერ), „გამარჯვებული საქართველო“ (სამჯერ), „სტრატეგია აღმაშენებელი“ (სამჯერ), „ლეიბორისტული პარტია“ (ხუთჯერ), „დემოკრატიული მოძრაობა“ (სამჯერ), „თავისუფალი საქართველო“ (ორჯერ), „სოლიდარობის ალიანსი“ (ოთხჯერ), „ქართული მარში“ (ერთხელ), „კონსერვატიული პარტია“ (ერთხელ), „პ.პ. სამართლიანობისთვის“ (ორჯერ), „ალეკო ელისაშვილი - მოქალაქეები“ (სამჯერ), ანა დოლიძე - „მოძრაობა ხალხისთვის“ (ერთხელ), „ტრიბუნა“ (ორჯერ).

ამავე გადაცემაში პოლიტიკურ პარტიებს შორის დებატები შედგა: „სოლიდარობის ალიანსის“, „სტრატეგია აღმაშენებლის“, „ევროპული საქართველოს“, „ლელოს“, გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშიას“, პ.პ. „სამართლიანობისთვის“, „ლეიბორისტული პარტიის“, ანა დოლიძე - „მოძრაობა ხალხისთვის“, „გამარჯვებული საქართველოს“, „ალეკო ელისაშვილი - მოქალაქეები“, „გირჩის“, „ტრიბუნას“, „დემოკრატიული მოძრაობის“, „თავისუფალი საქართველოს“, „კონსერვატიული პარტიის“ წარმომადგენლებს შორის.

საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გადაცემაში **„პოლიტიკური პარასკევი“** პოლიტიკური პარტიებიდან მონაწილეობდნენ: „ევროპული საქართველო“ (ოთხჯერ), გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“ (სამჯერ), „ლელო“ (სამჯერ), „ლეიბორისტული პარტია“ (ერთხელ), „პატიოტთა ალიანსი“ (ერთხელ), „სოლიდარობის ალიანსი“ (ერთხელ), „დემოკრატიული მოძრაობა“ (ერთხელ) და „გირჩი“ (ერთხელ).

ამავე გადაცემაში დებატები შედგა: „ევროპული საქართველოს“, „ლელოს“ და „დემოკრატიული საქართველოს“ წარმომადგენლებს შორის.

გადაცემა **„დღის ამბებში“,** რომელიც ყოველდღე სამჯერ გადის ეთერში, მონაწილეობდნენ: „ევროპული საქართველო“ (ოცდათექვსმეტჯერ), გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“ (სამოცდათვრამეტჯერ), „ლელო“ (ოცდაორჯერ), „გირჩი“ (ექვსჯერ), „სტრატეგია აღმაშენებელი“ (თორმეტჯერ), „ლეიბორისტული პარტია“ (ოთხჯერ), „პატრიოტთა ალიანსი“ (ერთხელ), „ტრიბუნა“ (ერთხელ), „თავისუფალი საქართველო“ (ერთხელ), „სოლიდარობის ალიანსი“ (ორჯერ), „კონსერვატიული პარტია“ (სამჯერ), „პ.პ. სამართლიანობისთვის“ (ოთხჯერ), „გამარჯვებული საქართველო“ (სამჯერ), „დემოკრატიული მოძრაობა“ (ექვსჯერ), „ალეკო ელისაშვილი - მოქალაქეები“ (ექვსჯერ), ანა დოლიძე - „მოძრაობა ხალხისთვის“ (სამჯერ), „ქართული არჩევანი“ (ერთხელ).

გადაცემაში **„პირველი ხაზი“** მონაწილეობდნენ პოლიტიკური პარტიები: „გამარჯვებული საქართველო“ (სამჯერ), „გირჩი“ (ორჯერ), „ევროპული საქართველო“ (ხუთჯერ), გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“ (ხუთჯერ), „ალეკო ელისაშვილი - მოქალაქეები“ (ერთხელ), „ლელო“ (სამჯერ), პ.პ. „სამართლიანობისთვის“ (ორჯერ), „თავისუფალი საქართველო“ (ერთხელ), „სოლიდარობის ალიანსი“ (ორჯერ), „სტრატეგია აღმაშენებელი“ (ორჯერ) და „ქართული ოცნება“ (ერთხელ).

საანგარიშო პერიოდში ეთერში სამჯერ გავიდა გადაცემა **„საარჩევნო რეაქცია“.** გადაცემაში მონაწილეობის შესაძლებლობა მიეცათ შემდეგ პოლიტიკურ პარტიებს: „გირჩი“ (ერთხელ), „ევროპული საქართველო“ (სამჯერ), გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“ (სამჯერ), „ტრიბუნა“ (ერთხელ), „ლელო“ (ორჯერ), „თავისუფალი საქართველო“ (ერთხელ), „სოლიდარობის ალიანსი“ (ორჯერ), „ქართული მარში“ (ერთხელ) და „დემოკრატიული მოძრაობა“ (ერთხელ).

საანგარიშო პერიოდში გადაცემაში **„ნოდარ მელაძის შაბათი“** გავიდა სიუჟეტები შემდეგი პოლიტიკური პარტიების შესახებ: „ქართული ოცნება“ (ოთხჯერ), გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“ (ერთხელ), „პატრიოტთა ალიანსი“ (ერთხელ), „თამაზ მეჭიაური ერთიანი საქართველოსთვის“ (ერთხელ).

პრაიმტაიმის ეთერში ყოველ კვირას გადის გადაცემა **„ხალხი ხალხისთვის“,** რომელიც ქვეყანაში განსაკუთრებულ სიღარიბეში და გაუსაძლის პირობებში მცხოვრები ადამიანების შესახებ ავრცელებს ინფორმაციას. გადაცემაში ჟურნალისტი ხშირად ამახვილებდა ყურადღებას, რომ ადამიანები ხელისუფლებას ბედის ანაბარა, ხალხის დახმარების იმედად ყავს მიტოვებული.

გადაცემაში **„პირველამდე“** მონაწილეობდნენ „გირჩი“(ერთხელ) და „ლელო“ (ერთხელ). ხოლო გადაცემაში **„შუადღე LIVE“** სტუდიაში მოწვეულები იყვნენ „ევროპული საქართველო“ (ერთხელ), გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“ (ერთხელ), და „ლელო“ (ერთხელ). გადაცემაში **„საქმიანი დილა“** მონაწილეობდნენ: „ქართული ოცნება“ (ერთხელ) და „ლელო“ (ერთხელ).

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, „ტვ პირველის“ თვითრეგულირების მექანიზმში მაუწყებლის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არც ერთი საჩივარი შესულა.




პირდაპირი და ირიბი გაშუქება
ირიბი
პირდაპირი
ქართული მარში
30%
სტრატეგია აღმაშენებელი
57%
43%
ლელო
43%
57%
ლეიბორისტული პარტია
57%
43%
პატრიოტთა ალიანსი
71%
29%
ევროპული საქართველო
50%
50%
გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია"
63%
37%
ქართული ოცნება
75%
25%
ადგილობრივი მთავრობა
80%
20%
საქართველოს მთავრობა
80%
20%


ტონი
ნეგატიური
ნეიტრალური
პოზიტიური
2%
60%
38%
40%
60%
14%
37%
49%
6%
72%
22%
2%
90%
7%
87%
13%
11%
89%
7%
91%
2%
92%
8%
71%
29%
საქართველოს მთავრობა
ადგილობრივი მთავრობა
ქართული ოცნება
გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია"
ევროპული საქართველო
პატრიოტთა ალიანსი
ლეიბორისტული პარტია
ლელო
სტრატეგია აღმაშენებელი
ქართული მარში


პოზიტიური და ნეგატიური გაშუქება
2%
38%
60%
14%
49%
6%
22%
2%
7%
13%
8%
7%
2%
11%
29%
საქართველოს მთავრობა
ადგილობრივი მთავრობა
ქართული ოცნება
გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია"
ევროპული საქართველო
პატრიოტთა ალიანსი
სტრატეგია აღმაშენებელი
ლელო
ლეიბორისტული პარტია
ქართული მარში


გენდერი
12%
88%
ქალი
კაცი

შპს „მთავარი არხი“

ახალი ამბები - მონიტორინგს დაქვემდებარებული სუბიექტებისთვის დათმობილი დრო: გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“ – 42.2% (პოზიტიური - 18%, ნეგატიური - 1%), „ქართული ოცნება“ – 28.9% (პოზიტიური - 1%, ნეგატიური - 66%), ხოლო ყველა დანარჩენი სუბიექტი 10%–ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

ხარისხობრივი შეფასება - საანგარიშო პერიოდში არხის წამყვანები და ჟურნალისტები არ იცავდნენ ბალანსს, გამოხატავდნენ მკვეთრად პოზიტიურ დამოკიდებულებას მათთვის მისაღები ოპოზიციური პარტიების მისამართით, ხოლო მკვეთრად ნეგატიურ დამოკიდებულებას მმართველი პარტიისა და ხელისფულების მიმართ. ხშირად იყენებდნენ სიძულვილის ენას, ანონიმურ წყაროზე დაყრდნობით ავრცელებდნენ გადაუმოწმებელ ინფორმაციას, აღნიშნული ინფორმაციის გავრცელებით ახდენდნენ მაყურებელზე მანიპულაციას, იყენებდნენ აგრესიულ მოწოდებებს და უცენზურო გამონათქვამებს.

ჟურნალისტები არ ერიდებოდნენ ირონიული და ნეგატიური ტონის გამოყენებას ხელისუფლების, საჯარო მოხელეების და „ქართული ოცნების“ წარმომადგენლების მიმართ. მაღალი სიხშირით გამოიყენება გამოთქმები „ოლიგარქის მონები“, „ოლიგარქის კლანი“, „ივანიშვილის მორჩილი კანდიდატები“.

მთავარი არხის წამყვანმა - ნიკა გვარამიამ რამდენჯერმე „იდიოტი“ უწოდა „ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელს ირაკლი კობახიძეს (21 ოქტომბერი, 21:12-დან).

გამოხატულად ირონიული იყო სიუჟეტი „იფიქრე, ქოცო“ - ავტ. თენგიზ გოგოტიშვილი. (25 ოქტ. პოსტფაქტუმი - 22:06).

29 ოქტომბერს არხის საინფორმაციო გამოშვებებსა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გადაცემებში დიდი დრო დაეთმო ახალ ამბავს, სადაც საუბარი რუსული სადაზვერვო სამსახურის მიერ დაწერილ გეგმაზე იყო. სიუჟეტი აგებული იყო დოკუმენტზე, რომლის ავთენტურობაც არ დასტურდებოდა ფაქტებით და სავარაუდოდ ყალბ ინფორმაციას წარმოადგენდა (გრამატიკული შეცდომები, დამადასტურებელი სპეციალური ნიშნების არქონა და ა.შ.).

20 ოქტომბერს საინფორმაციო გამოშვებაში გავიდა სიუჟეტი „იგორ გიორგაძის ფარული ჩანაწერი“. არხმა გადასცა ერთ-ერთი რუსული ინტერნეტარხის მიერ გავრცელებული ე.წ. ფარული სატელეფონო ჩანაწერები იგორ გიორგაძესა და უცნობ შუამავალს შორის, რომელიც თითქოს ბიძინა ივანიშვილის მთავრობასთან საქმეს ალაგებდა. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ჩანაწერის ავთენტურობა დადგენილი არ იყო, ჟურნალისტი მაყურებელს როგორც

უტყუარ მტკიცებულებას ისე აწვდიდა ბიძინა ივანიშვილის რუსულ სპეცსამსახურებთან ურთიერთობას.

12 ოქტომბრიდან რამოდენიმე დღის განმავლობაში, არხი ავრცელებდა ინფორმაციას ქართლში სკოლის დირექტორის პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლების თაობაზე. ჟურნალისტის მტკიცებით ქალბატონს ამ ნიადაგზე ინფარქტის ნიშნები აღენიშნებოდა. აღნიშნულ ამბავს არხმა რომოდენიმე დღის განმავლობაში სხვადასხვა თოქ-შოუ მიუძღვნა. ასეთი მძიმე ბრალდებების მიუხედავად, მაუწყებელმა არ გამოიკვლია სკოლის დირექტორის გათავისუფლების რეალური მიზეზები, არ გადაამოწმა ინფორმაცია მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ და მხოლოდ იმაზე გააკეთა აქცენტი, რომ ოჯახის წევრების აზრით გათავისუფლება პოლიტიკას უკავშირდებოდა.

27 და 30 ოქტომბერს არხის საინფორმაციო გამოშვებაში გავიდა სიუჟეტი რეგისტრაციის მისამართებზე უცნობი პირების ჩაწერის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ“ მაშინვე გაავრცელა განცხადება, სადაც ნათქვამი იყო, რომ გავრცელებული ინფორმაცია არ შეესაბამებოდა სიმართლეს, არხმა ყალბი ამბავი 30 ოქტომბრის გამოშვებაში კიდევ ერთხელ გაიმეორა.

21 ოქტომბერს 3 საათიან გამოშვებაში „საქართველოს ბანკზე“ განხორციელებული თავდასხმის გაშუქებისას მაუწყებელმა პირდაპირ ეთერში შეიყვანა მძევალი, რომელიც ზუგდიდის ბანკიდან ტერორისტის მითითებით რეკავდა. ამასთან, მაუწყებელმა არ გაითვალისწინა შსს-ს მითითება არ განეხორციელებინათ პირდაპირი ჩართვები ბანკის შენობიდან, რითიც დაარღვია „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ 53-ე მუხლის მე-6 პუნქტი, რომლის თანახმადაც „მაუწყებელმა უნდა გაითვალისწინოს პოლიციისა და სხვა უფლებამოსილი სახელმწიფო უწყებების რჩევები იმ საკითხთან დაკავშირებით, რომლის გაშუქებამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას ადამიანის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას.“

22 ოქტომბერს „მთავარი 9“-ზე გავიდა სიუჟეტი „დაყაჩაღებული ბანკები“, რომლითაც გავრცელდა ინფორმაცია ზოგადად ქვეყანაში ბანკებზე თავდასხმების თაობაზე, ხოლო გახსნილი იყო თუ არა ეს დანაშაულებები არ აღნიშნულა.

დამძიმებული კოვიდსიტუაცია - აღნიშნული თემის გაშუქება ხდებოდა მიკერძოებულად და ექსპერტებად ძირითადად მოწვეული ყავდათ პოლიტიკური პარტიის წევრები.

არხზე ერთ-ერთი მთვარი თემა იყო კრიმინალი: „ქურდული სამყარო და დამნაშავეები წინასარჩევნოდ წაახალისა ხელისუფლებამ, რასაც კრიმინალის ზრდა მოყვა“. (მაგ: 12 ოქტომბერს „მთავარი 9“ დაიწყო სიუჟეტით, სადაც მოთხრობილია იმერეთში პედოფილიის ბრალდებით დაკავებულ ასაკოვან ტაქსისტზე. ჟურნალისტმა და წამყვანებმა

გადაუმოწმებელი, საეჭვო და უცნობი წყაროს მიერ მიწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, არაერთხელ გაიმეორეს, რომ 72 წლის ტაქსისტი, "სავარაუდოდ, იყო „ქართული ოცნების" აქტივისტი").

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემები - „მთავარი არხის" ეთერში განთავსებული შემდეგი საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემები: **„დღის სტუმარი", „მთავარი დებატები", „მთავარი მსოფლიოში", „ღამის მთავარი", „მთავარი აქცენტები", „პოსტ ფაქტუმი" და „მთავარი შაბათს".**

გადაცემაში **„დღის სტუმარი"** მონაწილეობდნენ: გამარჯვებული საქართველო (ორჯერ), გირჩი (ერთხელ), ევროპული საქართველო (თვრამეტჯერ), დემოკრატიული მოძრაობა (ორჯერ), ლეიბორისტული პარტია (ორჯერ), ლელო (ცხრაჯერ), ალეკო ელისაშვილი - მოქალაქეები (ოთხჯერ), სტრატეგია აღმაშენებელი (ორჯერ), ტრიბუნა (ოთხჯერ), ქართული ოცნება (ერთხელ), სოლიდარობის ალიანსი (ერთხელ), გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია" (ოცჯერ).

გადაცემაში **„მთავარი დებატები"** მონაწილეობდნენ: გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია" (თექვსმეტჯერ), „ევროპული საქართველო" (რვაჯერ), „ლეიბორისტული პარტია" (ერთხელ), „ლელო საქართველოსთვის" (ხუთჯერ), „სტრატეგია აღმაშენებელი" (ორჯერ), „დემოკრატიული მოძრაობა" (ორჯერ), „გამარჯვებული საქართველო" (ორჯერ), „ალეკო ელისაშვილი - მოქალაქეები" (ორჯერ), პ.პ. „სამართლიანობისთვის" (ერთხელ), „სოლიდარობის ალიანსი" (ორჯერ), „ტრიბუნა" (ერთხელ), „გირჩი" (ერთხელ).

გადაცემა არ წარმოადგენდა კლასიკურ დებატებს. ძირითადად, მიმდინარე აქტუალურ თემებს აშუქებდნენ, თუმცა, პერიოდულად, ხდებოდა მაჟორიტარობის კანდიდატების მოწვევა და მათი პროგრამების განხილვა.

პირველივე გადაცემაში წამყვანმა აღნიშნა, რომ არხზე არ მიდიან მმართველი პარტიის წარმომადგენლები.

გადაცემაში **„მთავარი მსოფლიოში"** მონაწილეობდნენ: „ევროპული საქართველო" (ორჯერ).

გადაცემაში **„ღამის მთავარი"** მონაწილეობდნენ: „გამარჯვებული საქართველო" (ერთხელ), „გირჩი" (ერთხელ), „ევროპული საქართველო" (რვაჯერ), „დემოკრატიული მოძრაობა" (ერთხელ), „ლელო" (სამჯერ), „ალეკო ელისაშვილი - მოქალაქეები" (ერთხელ), „სტრატეგია აღმაშენებელი" (სამჯერ), „სოლიდარობის ალიანსი" (ერთხელ), გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია" (შვიდჯერ).

გადაცემაში გვხდება ირონიული დამოკიდებულება და უცენზურო ლექსიკა. მაგ. „გამოლენჩებული კომისიის წევრები" (31 ოქტომბერი 1:58:24).

არჩევნების დასრულებისთანავე ღამის ეთერში („ღამის მთავარი“) წამყვანები ღიად მოუწოდებდნენ ამომრჩევლებს და ოპოზიციის ლიდერებს გასულიყვნენ ცესკოსთან და დაეცვათ ხმები. (2:09:10) „მე აქ ბოლო 5 წელი საერთოდ არ დამიძინია, რატომ არ მიდიხართ?!“ „ძაან მნიშვნელოვანია ახლა ოპოზიცია დაირაზმოს და დაიცვას ხმები“ (2:38:59). „ჟვანიას კანტორა ჰქვია ამას, ცენტრალური საარჩევნო კომისია უკვე აღარ ქვია“ (4:23:40). მთელი ღამის განმავლობაში წამყვანები ღიად და დაუფარავად ცდილობდნენ სიტუაციის ესკალაციას, ფაქტებზე დაყრდნობის გარეშე ავრცელებდნენ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ხალხი ავტომატებით მიიყვანეს უბნებზე.

გადაცემაში **„მთავარი აქცენტები“** მონაწილეობდნენ: „გამარჯვებული საქართველო“ (ორჯერ), „გირჩი“ (ერთხელ), ანა დოლიძე (ერთხელ), „ევროპული საქართველო“ (თორმეტჯერ), „დემოკრატიული მოძრაობა“ (ორჯერ), „თავისუფალი საქართველო“ (ერთხელ), „ლეიბორისტული პარტია (ერთხელ), „ლელო“ (ხუთჯერ), „ალეკო ელისაშვილი - მოქალაქეები“ (სამჯერ), პ.პ. „სამართლიანობისთვის“ (ერთხელ), „სტრატეგია აღმაშენებელი“ (ხუთჯერ), „ტრიბუნა (ერთხელ), „სოლიდარობის ალიანსი“ (ერთხელ), გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“ (თორმეტჯერ).

გადაცემაში ადგილი ჰქონდა დისკრიმინაციული გამოთქმების და სიძულვილის ენის გამოყენებას წამყვანის მხრიდან. მაგ.:„გინდათ თქვათ, რომ ეს ქვეყანა არის ე.წ. მოდი ასე ვთქვათ ფსიხის მართვის ქვეშ? “ - ნიკა გვარამია ელდარ გოგოლაძესთან ინტერვიუს დროს აღნიშნულ დისკრიმინაციულ და დამაკნინებელ გამოთქმას იყენებს ბიძინა ივანიშვილის მისამართით, სადაც ვრცელი ეპიზოდი მიეძღვნა ივანიშვილის ფსიქიკურ მდგომარეობას და იმაზე მსჯელობას, რომ მას შესაძლოა „ცნობა ჰქონდა ფსიქიატრიულიდან“ (25 ოქტომბერი).

გადაცემაში **„პოსტ ფაქტუმი“** მონაწილეობდნენ: „გირჩი“ (ერთხელ), „ევროპული საქართველო“ (სამჯერ), „ლელო“ (ერთხელ), „ალეკო ელისაშვილი - მოქალაქეები“ (ორჯერ), „სტრატეგია აღმაშენებელი“ (ორჯერ), გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“ (ოთხჯერ).

25 ოქტომბერი „პოსტ ფაქტუმი“ - წამყვანი მიმართავდა ბერა ივანიშვილს და აკრიტიკებდა მას „ამაზონის პროექტის“ გამო. შემდეგ აჩვენა კადრში შარვალ ჩახდილ თოჯინა და თქვა: „ეს არის მამაშენის უტრაკო ხელისუფლება“, „მამაშენმა ერთ შეიარაღებულ პირს ახმარინა საკუთარი თავი და ამაში მილიონებიც გადაიხადა“.

გადაცემაში **„მთავარი შაბათს“** მონაწილეობდნენ: გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“ (ორჯერ), „ევროპული საქართველო“ (ერთხელ) და „გამარჯვებული საქართველო“ (ერთხელ).

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, „მთავარი არხის“ თვითრეგულირების მექანიზმში მაუწყებლის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არც ერთი საჩივარი შესულა.




პირდაპირი და ირიბი გაშუქება
ირიბი
პირდაპირი
დემოკრატიული მოძრაობა
9%
91%
სტრატეგია აღმაშენებელი
9%
91%
ლელო
19%
81%
ლეიბორისტული პარტია
11%
89%
ევროპული საქართველო
12%
88%
გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია"
28%
72%
ქართული ოცნება
80%
20%
საქართველოს მთავრობა
61%
39%


ტონი
ნეგატიური
ნეიტრალური
პოზიტიური
70%
30%
1%
33%
66%
18%
81%
1%
1%
97%
2%
5%
95%
5%
95%
1%
99%
99%
1%
საქართველოს მთავრობა
ქართული ოცნება
გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია"
ევროპული საქართველო
ლეიბორისტული პარტია
ლელო
სტრატეგია აღმაშენებელი
დემოკრატიული მოძრაობა


პოზიტიური და ნეგატიური გაშუქება
პოზიტიური
ნეგატიური
30%
1%
66%
18%
1%
5%
5%
საქართველოს მთავრობა
ქართული ოცნება
გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია"
ყველა
ლეიბორისტული პარტია


გენდერი
20%
80%
ქალი
კაცი

<u>წინასაარჩევნო გარემო, დარღვევები და რეკომენდაციები:</u>

საანგარიშო პერიოდში ზემოაღნიშნულ 6 მაუწყებელზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ:

საინფორმაციო გამოშვებები ძირითადად დაბალანსებული და ჟურნალისტური ეთიკის სტანდარტების დაცვით არის განთავსებული საზოგადოებრივ მაუწყებელზე, მეტწილად საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიაზე და „რუსთავი 2“-ზე.

საზოგადოებრივ მაუწყებელზე და „რუსთავი 2“-ზე განთავსებულ საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემები და მათი წამყვანები გამოირჩევიან რელევანტური და კრიტიკული შეკითხვებით, მათ შორის ხელისუფლების წარმომადგენლების მიმართ, რაც ხელს უწყობს ამომრჩევლის ინფორმირებულობას. აღსანიშნავია, რომ ყველაზე მეტ საარჩევნო სუბიექტს საეთერო დრო საზოგადოებრივმა მაუწყებელის პირველმა არხმა და აჭარის ტელევიზიამ დაუთმო.

„ტელეიმედის“, „ტვ პირველის“ და „მთავარი არხის“ მაგალითზე ცალსახაა მიკერძოება სხვა და სხვა მხარის მიმართ. საინფორმაციო გამოშვებები, ისევე როგორც საზოგადოებრივ პოლიტიკური გადაცემები, გამოირჩევა ბალანსის დაუცველობით და ჟურნალისტური სტანდარტების დარღვევებით. „ტელეიმედზე“, პირველ საანგარიშო პერიოდისგან განსხვავებით, გვხვდებოდა სტუმრების/რესპოდენტების მიერ სიძულვილის ენის და უცენზურო სიტყვების გამოყენება, რაზეც წამყვანები სათანადო რეაგირებას არ ახდენდნენ.

„ტვ პირველის“ და „მთავარი არხის“ გადაცემებში გვხვდებოდა შეცდომაში შემყვანი, ყალბი ინფორმაცია, ისმოდა მძიმე ბრალდებები, რომლებიც არ იყო გამყარებული მტკიცებულებებით, ჟურნალისტების მხრიდან ხშირი იყო ეთიკური ნორმების დარღვევა, სიძულვილის ენის და უცენზურო ლექსიკის გამოყენების შემთხვევები.

შეგახსენებთ, რომ მონიტორინგის შედეგად აღმოჩენილი მაგალითები მაუწყებელთა ქცევის კოდექსის უხეშ დარღვევას წარმოადგენს. მათზე რეაგირება და განხილვა, მოქმედი კანონმდებლობით, მხოლოდ მაუწყებელთა თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში არის შესაძლებელი, ხოლო მაუწყებლის თვითრეგულირების ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ საჩივრდება არც კომუნიკაციების კომისიაში და არც სასამართლოში.

ამასთან, „მთავარი არხის“ ეთერში უცენზურო გამონათქვამების და გინების შემთხვევების გარდა განთავსებული იყო უხამსობის შემცველი პროგრამა. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 56-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, აკრძალულია მაუწყებლის მიერ ადამიანისა და მოქალაქის ღირსებისა და ძირითად უფლებათა შემლახავი ისეთი პროგრამის განთავსება, რომელიც შეიცავს უხამსობას. კანონმდებლობის მიხედვით, დასახელებული სამართალდარღვევა ექვემდებარება კომისიის მიერ სამართლებრივ რეაგირებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კომისია გეგმავს მედიის მისამართით გაავრცელოს განცხადება და განმარტოს უხამსობის შემცველი პროგრამის ან რეკლამის განთავსებისთვის პასუხისმგებლობის დაკისრების სამართლებრივი სტანდარტები.

კომისიამ განიხილა 2 საჩივარი საარჩევნო კანონმდებლობის შესაძლო დარღვევასთან დაკავშირებით:

1. პ/გ „პატრიოტთა ალიანსის“ 2020 წლის 23 ოქტომბრის საჩივარი, რომლის თანახმადაც, პოლიტიკურმა გაერთიანებამ მაუწყებლებს განსათავსებლად წარუდგინა ორი პოლიტიკური შინაარსის ვიდეო რგოლი, რომლებიც ეთერში არ განათავსა შპს „ტელეიმედმა“.

   კომისიამ საკითხის შესწავლის შედეგად დაადგინა, რომ პოლიტიკური გაერთიანების მიერ წარდგენილი სარეკლამო რგოლი არ აკმაყოფილებდა საკანონმდებლო მოთხოვნებს და მაუწყებლებს არ ჰქონდათ მისი განთავსების ვალდებულება. შესაბამისად, კომისიამ 2020 წლი 25 ოქტომბერს მიიღო გადაწყვეტილება Nგ-20-16/818 საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. გადაწყვეტილება შეგიძლიათ იხილოთ კომისიის ვებ-გვერდზე - https://comcom.ge/ge/legal-acts/solutions/2020--20-16-818.page.

2. პ/გ „ევროპული საქართველოს“ საჩივარი - რომელშიც აღნიშნული იყო, რომ შპს „ტელეიმედმა“ არ განუთავსა წარდგენილი პოლიტიკური რეკლამა.

   პ/გ „ევროპული საქართველოს“ საჩივარი კომისიაში 28 ოქტომბერს შემოვიდა. კომისიამ 30 ოქტომბრის სხდომაზე განიხილა საკითხი და მსჯელობის შედეგად აღნიშნა, რომ განსახილველი რეკლამა არ შეიცავდა კანონმდებლობის დარღვევის ნიშნებს და მაუწყებელი ვალდებული იყო განეთავსებინა იგი. შესაბამისად, კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება შპს „ტელეიმედისთვის“ ადმინისტრაციული სამართადარღვევის ოქმის შედგენის თაობაზე, პოლიტიკური/წინასაარჩევნო რეკლამის განუთავსებლობის გამო.

2020 წლის 05 ნოემბერს გამართულ საჯარო სხდომაზე კომუნიკაციების კომისიამ 10 მაუწყებლის მიერ საპარლამენტო არჩევნების დროს „საარჩევნო კოდექსის“ დარღვევის საკითხები განიხილა. კერძოდ, კომუნიკაციების კომისიამ „მთავარ არხს“, ტელეკომპანია „იმედს“, „პალიტრა ტვ“-ის და „ილიონ ტვ“-ის სამართალდარღვევის ოქმი შეუდგინა. მათ კენჭისყრამდე 48 საათის განმავლობაში საკუთარ ეთერში საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა გამოაქვეყნეს, რითაც საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ (შემგომში - საარჩევნო

კოდექსი) 50-ე მუხლის მე-5 ნაწილი დაარღვიეს. ტელეკომპანია „ფორმულამ“ კი მისი დაკვეთილი ეგზიტპოლის გამოქვეყნებისას კანონით განსაზღვრული სავალდებულო ინფორმაცია არ გამოაქვეყნა.

საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიის, „ტელეკომპანია პირველის“, „მეგა ტვ“-ის, „ტოკ ტვ“-ის, „პალიტრა ტვ“-ის და „ტელეკომპანია ქართული არხის“ წარმომადგენლებმა სხდომაზე განმარტეს, რომ სხვა არხების მიერ დაკვეთილი და გავრცელებული ეგზიტპოლების გაშუქება საინფორმაციო გამოშვებებში მაყურებლის ინფორმირების მიზნით მოახდინეს. ამასთან, ვინაიდან მოვლენები გადაიცემოდა პირდაპირ ეთერში და მაუწყებლები ცდილობდნენ მაყურებლისთვის ოპერატიულად მიეწოდებინათ ინფორმაცია, სწორედ ამ კონტექსტის გათვალისწინებით ვერ მოხდა ეგზიტპოლისთვის სავალდებულო ყველა ინფორმაციის სრულყოფილად გადაცემა და კომისიას გადაწყვეტილების მიღების დროს აღნიშნული გარემოებების გათვალისწინება სთხოვეს.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ მაუწყებლებს კომუნიკაციების კომისიამ სამართალდარღვევის ოქმი არ შეუდგინა, სხდომაზე ცალსახად აღინიშნა, რომ მაუწყებლებმა უნდა დაიცვან ეგზიტპოლის გამოქვეყნების ყველა წესი იმ შემთხვევაშიც კი, როცა ხდება სხვა პირის მიერ დაკვეთილი და გავრცელებული ეგზიტპოლის გაშუქება, თუნდაც მხოლოდ საინფორმაციო გამოშვებებში.

საარჩევნო სუბიექტები არაპოლიტიკურ გადაცემებში: კომისიას მიაჩნია, რომ წინასაარჩევნო კამპანიის სამართლიანად, მიუკერძოებლად და დაბალანსებულად გაშუქების მიზნით, მნიშვნელოვანია მაუწყებლებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტის წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქების დროს იმ სახელმძღვანელო რეკომენდაციებს, რაც გათვალისწინებულია კომუნიკაციების კომისიის 2009 წლის 12 მარტის N2 დადგენილებით დამტკიცებული „მაუწყებელთა ქცევის კოდექსით“ და გაითვალისწინონ, რომ საარჩევნო პერიოდში კანდიდატის, ან პარტიის წარმომადგენლის მონაწილეობა იმ პროგრამაში, რომელიც არ არის პოლიტიკასთან პირდაპირ კავშირში, დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოლაპარაკება პროგრამაში მონაწილოების შესახებ შედგა საარჩევნო პერიოდის დაწყებამდე. კანდიდატს არ უნდა მიეცეს საშუალება გამოთქვას პოლიტიკური მოსაზრებები, ან სხვა გზით მოახდინოს საკუთარი კანდიდატურის რეკლამირება.

<u>მაუწყებლების მხრიდან კანდიდატებს პოლიტიკური განცხადებების გაკეთების შესაძლებლობა შემდეგ არაპოლიტიკურ გადაცემებში მიეცათ:</u>

ტელეიმედი:

დილის შოუ – „ქართული ოცნება“ (ერთხელ).

ვასმედია – გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“ (სამჯერ), „სტრატეგია აღმაშენებელი“ (სამჯერ), „ევროპული საქართველო“ (ორჯერ), „გირჩი“ (ერთხელ) „ლეიბორისტული პარტია“ (ორჯერ), „მოქალაქეები“ (ერთხელ), „პატრიოტთა ალიანსი“ (ერთხელ), „ერთიანი საქართველო – დემოკრატიული მოძრაობა.“ (ერთხელ).

იმედის დილა – „ქართული ოცნება“ (ორჯერ).

იმედის დღე – „ქართული ოცნება“ (ორჯერ).

კულინარიული დუელი – „ქართული ოცნება“ (ორჯერ).

პრაიმშოუ – „ქართული ოცნება“ (ერთხელ).

რა დროს ძილია – „ქართული ოცნება“ (ორჯერ).

სპორტი იმედზე – „ქართული ოცნება“ (ორჯერ).

ღამის შოუ გიორგი გაბუნიასთან ერთად – „ქართული ოცნება“ (ოთხჯერ).

რუსთავი 2:

„ნიკა არაბიძის შოუში“ მოწვეულები იყვნენ: „ქართული ოცნება“ (ერთხელ), „კონსერვატიული პარტია“ (ერთხელ), „ლელო“ (ერთხელ), „ანა დოლიძე - მოძრაობა ხალხისთვის“ (ერთხელ).

„მენტალურ ომებში“ ვიხილეთ: „გირჩის“ (ერთი), „ქართული იდეის“ (ერთი), „ერთიანი საქართველოს“ (ერთი) წარმომადგენლები და ერთი დამოუკიდებელი კანდიდატი, თამარ მაყაშვილი.

„პროფილში“ მაყურებელმა ნახა: „ევროპული საქართველოს“ (ერთხელ), „სტრატეგია აღმაშენებლის (ერთხელ), ალეკო ელისაშვილი - მოქალაქეებისა“ (ერთხელ) და „ეკა ბესელია - სამართლიანობისთვის“ (ერთხელ) წარმომადგენლები.

„ფარულ კონვერტში“ მოწვეულები იყვნენ: „ანა დოლიძე - მოძრაობა ხალხისთვის“ (ერთხელ), „კონსერვატიული პარტია“ (ერთხელ).

„დილა მშვიდობისა, საქართველოს“ მონიტორინგს დაქვემდებარებული ერთი სუბიექტი სტუმრობდა „ქართული ოცნებიდან“.

„ანეკდოტების შოუს“ ერთი დამოუკიდებელი კანდიდატი, თამარ მაყაშვილი, ეწვია.

„დიდი ამბავი“ „გირჩის“ წარმომადგენელს მასპინძლობდა (ერთხელ).

ტელეკომპანია პირველი:

„შუადღე LIVE“ სტუდიაში მოწვეულები იყვნენ: „ევროპული საქართველო“ (ერთხელ), გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“ (ერთხელ) და „ლელო“ (ერთხელ).

მთავარი არხი:

„ვანოს შოუში“ მოწვეულები იყვნენ: გაერთიანებული ოპოციზია „ძალა ერთობაშია“ (სამჯერ), ალეკო ელისაშვილი - მოქალაქეებისა“ (ერთხელ).

„მთავარი ბიჭებში“ - გაერთიანებული ოპოციზია „ძალა ერთობაშია“ (ერთხელ).

„წიწაკებში“ მოწვეული იყვნენ: „ევროპული საქართველო“ (ერთხელ).